

ივერია

ფასი ნომრისა 6 კაპეიკი

ქართული
გაზეთების
№ 24

ჰვირა, 13 აგვისტო

ქოველკვირეული გაზეთი

ფასი წლის დამლევამდის 3 მან.; ხუთი თვით 2 მან. | 1877—1906 | ადრესი: ტფილისი, ჭრელიძის ქ., № 5, ტელეფ. № 922.

სარჩამი:—ტფილისის ქართულ გიმნაზია, ფ. გოგინიშვილი-სა.—პატარა ფიქრები ა—ლ—სა.—ჩუხეთის მთავრობის ფინანსიური პოლიტიკა, ა—სი — ნოდარია (პოემა), ცხელისა.—ავტონომია, (ნ. ი. ლაზარევიჩისა), თარგმანი ს—ისა.—ადგილი (კ. ტიშკოვსკისა, (დასასრული), თარგმანი ა. ს—ისა.

ტფილისის ქართული გიმნაზია

ინტერმეტო

წარსულ კვირის ნომერში ჩვენ განვმარტეთ ხასიათი იმ ბრძოლისა, რომელსაც ამ ერთი წლის განმავლობაში ეწეოდა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელთა კორპორაცია მასწავლებლის ესრედ წოდებულ „რეორგანიზაციისთვის“, და აღვნიშნეთ ის ცვლილებანი, რომელნიც შემოღებულ იქნა სკოლაში; არ დაგვიმალავს და აღვნიშნეთ ნაწილი—მხოლოდ ნაწილი—იმისა, რაც, ჩვენ-ს აზრით, არ იყო მოსაწონი და თანაგრძნობის ღირსი პედაგოგთა მოქმედებაში. ჩვენ განგებ ამ მოქმედების ისეთი მხარეები ავსუხეთ, რომელთა შესახებ ორნაირი აზრი თითქო შეუძლებელი არის, ვინაიდან სრულიად ცხადი და ნათელია მათში ჩანსაკვული მისწრაფება და ის ფინანსიური ზარალი, რომელიც ეძლევა სკოლას ესოდენ ხელგაშლილად მოხდენილ „რეფორმის“ წყალობით. რასაკვირველია, ჩვენ ვიცოდით, რომ ამ გვარის გულახდილობითა და პირდაპირობით პედაგოგთა გულს ვერ ვსიამოვნებდით, მაგრამ ის კი მაინც არ გვეგონა, რომ გამოჩნდებოდა ვინმე ისეთი, რომელიც იკისრებდა ცხად ციფრების უარყოფას და ეცდებოდა მასწავლებელთა ზნეობრივად გამართლებას იქ, სადაც მათი გამართლება და უცოდველ უბიწოებად გამოყვანა ყოვლად შეუძლებელი არის.

მაგრამ არ გვეგონა ეს იმიტომ, რომ დავავიწყდა და მაშინ აღარ მოგვეგონებია, რომ სათავად-აზნაურო სკოლის პედაგოგთა კორპორაციის ჰყავს ერთი გარეშე კლასიკორი, რომელსაც მასწავლებელთა „დაცვა“ და „მფარველობა“ თავის სპეციალობად აქვს გადაქცეული. ეს გახლავთ ვაზ. „ცნობის ფურცლისა“ და „შრომის“ ერთი თანამშრომელი, რომელიც თავის სახელის ინიციალით — W — მხოლოდ მაშინ გამოჩნდება ვაზეთის მეოთხე გვერდზე, როცა სათავად-აზნაურო სკოლის საზოგადოების საჯარო კრება არ. სან როცა ამ სკოლის პედაგოგებს ვინმე „შეურაცხყოფას“ მიაყენებს. მაშინ იგი სწერს კრებების ტენდენციურ ანგარიშებს და აცხობს მასწავლებელთა გასამართლებლად „პუბლიკისტურ“ წერილებს. შარშან, მაგალითად, სასკოლო საზოგადოების ერთ კრებაზე სკოლის ერთმა მასწავლებელმა მუშტი-კრივი გამართა და თავის ამგვარ საქციელით მთელი კრება ააშფოთა ბ-ნმა W—მა ასე მართლად და სინდი-

სიერად გადასცა ეს ამბავი თავის მკითხველებს: საზოგადოების ერთმა წევრმა ისე ილაპარაკა, რომ კრებაზე დამსწრენი აღელდნენ და კრების გაგრძელება შეუძლებელი შეიქმნაო. მასწავლებლის ბარბაროსული საქციელი ამ სიმართლის მოყვარულმა მემბრანემ მიჩქმალა და „საზოგადოების აღელვებაში“ გაღვსა. რაღაო? იკითხავთ. აკი მოგახსენეთ, რომ ეს ვაჭბატონი ნაფიცი აბლაკატია სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლებისა მეთქი! ავგრ რამდენიმე წელიწადია, ყოველ დღე თვალყურს ვადევნებ ვაზ. „ცნობის ფურცელს“ და ახლა „შრომის“ და არ მახსოვს, რომ ამ ვაჭებში ერთხელ მაინც ყოფილიყოს რაიმე კრიტიკული შენიშვნა სკოლის მასწავლებელთა საპედაგოგო მოღვაწეობის შესახებ. წუ თუ ეს პედაგოგები ისე უცოდველნი არიან თავის მოქმედებაში, ყველაფერში ისე უნაკლულად მიჰყადებენ სკოლის საქციელებს, რომ საკრიტიკო და შენიშვნის მისაცემი არას დროს არა ყოფილა რა? ხოლო თუ იყო ოდესმე ასეთი რამ, რად მოხდა, რომ ვაჭებმა ერთხელ მაინც ეს ვერ აღნიშნა და ერთ-ერთ ქართულ საზოგადოებრივ დაწესებულებაში მომქმედ კორპორაციას ნაკლი და სისუსტე ვერ უჩვენა? ამ კითხვებზე პასუხის მიცემა ერთად ერთ W ს შეუძლია, რომელიც „ცნობის ფურცელ-შრომის“ ამ „დარგის“ სპეციალისტი ვაზლავთ.

ამის დასამტკიცებლად ჩვენ ძველ ამბებს აღარ გამოუვლდებით და ახალს მოგახსენებთ. წარსულ კვირას „ივერიაში“ მოთავსებულ წერილის გამო ბ-ნმა W-მ ვაზ. „შრომის“ (№ 102) ერთხელ კიდევ აბლაკატური წერილი გამოუცხობა მასწავლებლებს და თავისი სპეციაკი კალთა გადააფარა მათს უნაგარო შრომის მოყვარეობას. იგი არა თუ ამართლებს ვაჭმართლებელს, არამედ კანდიერდება და „სინდისიერებასა“ და „მიუღვამლობაზედაც“—კი ლაპარაკობს ვაჭუთალებლად. რას იზაპო, — შუბლის ძარღვი თურმე ყველას გრძნობიერი არა აქვს. „ვაზეთი“ „ივერია“ და ფ. გოგინიშვილი იმ თავიოვე „მიუღვამობლად“ მსჯელობდნენ ხოლმე ქართულ გიმნაზიის რეორგანიზაციის შესახებ, მაგრამ ეს „მიუღვამლობა“ მთელის თავის სიგრძე სიგანით და სიღრმით ისე არ გამოამტლავებულა, როგორც „ივერიის“ უკანასკნელ ნომერშია. ამას სწერს ბ-ნი W თავის წერილში, რომელსაც „ივერიის პუბლიკისტის სინდისიერება“ აწერია სათაურად. როგორც ხედავთ, ეს აბლაკატი მიკერძობით მსჯელობას და უსინდისობას გვაბრალებს; წერილის რამდენსამე ავგილას პირდაპირ სწერს, რომ ჩვენ ვითომ ვცრუობთ და მასწავლებლებს განზრახ ჩირქს ესცხებთ. ასეთ დარბაისლობის ნიმუშ-მარგალიტებით არის უხვად შემკული ჩვენი ავტორის წერილი, და ვინც არ იცის ჩვენებური „ძმა-ბიჭობა“, ვერც კი მიხვდება, საიდან მოგცხობ ბ-ნი W-ს ნიშადური და მასწავლებელთა მოქმედების კრიტიკულმა აწონ-დაწონვამ რატომ ესოდენ გააწიწმბა იგი.

რა თქმა უნდა, თუ ბ.ნ. W-ს აზრი ჩვენი „უსინდისობისა“, „ცრუობისა“ და „მიკერძობის“ შესახებ მართალია, იმ შემთხვევაში ჩვენ უარი უნდა ვთქვათ იმ ბრალდებაზე, რომელიც მასწავლებელთა შესახებ გამოვთქვით, და ბოდიში უნდა მოვიხადოთ იმათ წინაშე. ხოლო თუ თვით ბ.ნ. W „ცრუობს“, „ჰკერძავს“ და „უსინდისობას“ სჩადის, იმ შემთხვევაში ჩვენი ბრალდება შეურყეველი დარჩება და, მაშასადამე, მასზე აგებულ შემდეგ მსჯელობას სკოლის შესახებ არავითარი ლოლიკური დაბრკოლება აღარ დაგვიშლის. მაშინახოთ, რაში გამოიხატა ჩვენის მხრივ „ცრუობა“ და „უსინდისობა“?

ჯერ ერთი იმაში, რომ მასწავლებლებს ვუსაყვედურეთ: თუ, თქვენის აზრით, სკოლას ნაკლი ჰქონდა, ამდენ ხანს სად ბრძანდებოდით და ხმას რატომ არ იღებდითო. ეს მიაჩნია ბ.ნ. W-ს—სინდისიერებისა და მიუღდომლობის განხორციელებას—ჩვენს უსინდისობად. „მიუღდომელი ავტორი (ე. ი. თქვენი უმორჩილესი მსახური) პირველ ყოვლისა იმას უსაყვედურებს სკოლის რეორგანიზაციის ინიციატორ მასწავლებლებს, რომ საერთო მოძრაობას აჰყვენ და ხალხის მოძრაობის დაწყებამდე კი ხმას არ იღებდნო“, — ბრძანებს ბ.ნ. W. მართალია, — დიად, ჩვენ ეს ვუსაყვედურეთ და, გვგონია, სასაყვედუროც არის. ყოველი მუშაკი, რომელსაც აქვს შეგნება და გული, საზოგადოებრივ დაწესებულებაში უნდა შედროდეს იმ მიზნით, რომ მთელი თავისი ჭკუა და გამჭირახობა დაწესებულების წარმატების საქმეს მოახმაროს, ხოლო თუ მასწავლებლები გრძნობდნენ, რომ სკოლაში სწავლების საქმე ცუდად იყო დაყენებული, იმ თავითვე უნდა ცდილიყვნენ გაუმჯობესების შექმნას და არ ეცადათ იმ დროისთვის, როცა რუსეთის იმპერატორს თვითმპყრობელობის უფლებას ჩამოართმევდნენ. და განა ასეთ შემთხვევაში გაჩუქება და ხმის ამოუღებლობა სასაყვედურო არ არის? ამას მასწავლებელთა აბოაკტივ ვერ უარჰყოფს და სწერს: „ამ მხრივ ვერც ჩვენ გავამართლებთ წინანდელ პედაგოგიურ საბჭოს, — მართლა სასაყვედუროა იგიო“. მაშ თუ საყვედური სამართლიანია, რადაც უნდა მოწმობდეს ჩვენს „უსინდისობას“ მისი გამოთქმა და საჯაროდ გამოცხადება? ამას, ალბად, მარტო ბ.ნ. W-ეს სინდისიერების სინდისიერი დარაჯი — თუ მიხვდება...

იქნებ გავიკვირდეთ ასეთი კანდიტობა ბ.ნ. W-სა, რომელსაც ამისთვის ერთი მისხალი საფუძველი არა აქვს და სხვას ლობობიერად ამხილებს „უსინდისობას“, მაგრამ ეს ნუ გავიკვირდებათა რადგან მის წერილში ამაზე უფრო საკვირველიც შეგვხვდება.

პირველ წერილში ჩვენ აღნიშნული და ციფრებით დასაბუთებული გვქონდა, თუ რამდენად შეიმიტრეს ახალ „რეფორმის“ საშუალებით შრომა და გაიდიდეს ჯამაგირები სათავად-ახნაურო სკოლის მასწავლებლებმა. ბ.ნ. W ამისთვის ჩვენ ცრუს და მატყუარას გვეძახის. იგი წარბეჭეტილად სწერს: „ფ. გოგინიშვილი სიკრუეს კადრულობს, როცა უკეთინებს მასწავლებლებს, ვითომ ისინი შრომის შემცირების თხოულობდნო“. რასაკვირველია, როცა კაცი ნამუსზე ხელს აღიწებს, მას ასეთ ცოცხალ ცრუობისაც აღარ შერცხვება. წინად თითოეულ მასწავლებელს ჰქონდა ოთხი და ხუთი გაკვეთილი დღეში, ახლა მას ექნება მხოლოდ სამი გაკვეთილი. ვინც ხუთამდის თვლა იცის, ყველა იტყვის, რომ სამი ხუთზე ნაკლები არის და, მაშასადამე, ახალის ნორმით მასწავლებელს შრომა უმცირდება და არ უდიდება. ბ.ნ. W-ს

„პედაგოგიური“ არითმეტიკა სულ სხვას ამბობს, — იგი გვტყუებს, რომ 5 გაკვეთილის სამამდის შემცირებით მასწავლებლის შრომა არ მცირდება. ჩვენი ავტორი, რომელიც ალბად განსწავლულია პედაგოგიაში, ბრძნულად გვასწავლის, რომ „მასწავლებლის შრომა გაკვეთილების რაოდენობით თავის დღეში ვერ განიზომებაო“. რასაკვირველია, მასწავლებლის შრომა სუბიექტიურად გაკვეთილების რიცხვის მიხედვით ვერ განიზომება, მაგრამ ობიექტიურ საზომად მხოლოდ სამუშაო დროის ხანგრძლივობა უნდა ჩითვალოს. ზარმაცსა და უგულო მასწავლებელს რომელიც თავის საქმეს მექანიკურ სამუშაოდ სთვლის, 3 გაკვეთილზედაც ისე კარგად შეუძლია ზარმაცობა, როგორც 5 გაკვეთილზე, ხოლო ბეჯითი და თავის საქმის მოყვარული მასწავლებელი მაშინაც ცდილობს მოვალეობის პირნათლად შესრულებას. როცა მას, სამის მაგიერ, დღეში 4 და 5 გაკვეთილი აქვს. მხოლოდ, რა თქმა უნდა, 5 საათის მუშაობა მას უფრო დაჰდის, ვიდრე 3 საათის მუშაობა. ეს მეტ-ნაკლები დადლილობა ნიშნავს მეტ-ნაკლებ ენერჯის დახარჯვას, ე. ი. მეტ-ნაკლებ შრომის გაწევას, რაიც სამუშაო დროის ხანგრძლივობაზეა დამოკიდებული.

მაგრამ „პედაგოგია გაკვეთილების შემცირებას თხოულობსო“, ჩავძახის ყურში ბ.ნ. W. დიად, თხოულობს; პედაგოგიაში ბევრი სხვა რამეც არის იდეალად დასახული. მიუხედავად ამისა, არც ერთ ევროპის სხელწიფოში მასწავლებლისთვის 3 გაკვეთილი არაა ნორმად დაწესებული. და ეს არა იმიტომ, ვითომ ევროპელებმა არ იცოდნენ პედაგოგის მოთხოვნილება, არამედ იმიტომ, რომ ამას რეალური პირობები ეჭირვება განსახორციელებლად. და თუ მდიდარსა და განათლებულ ევროპაში ეს „მოთხოვნილება“ მიუღწეველ „თეორიულ“ სურვილადაა დარჩენილი, ჩვენ, დატაკ ქართველებს, რაღა სწორედ ეს „ფუფუნების“ მსგავსი პედაგოგიურ მეცნიერების დებულება აღარ დაგვაფიქვდა სკოლის რეორგანიზაციის გეგმაში და უყურადღებოდ დაგვრჩა ბევრი ისეთი რამ, რასაც ელემენტარულ მოთხოვნილების მნიშვნელობა აქვს სკოლის ცხოვრებაში? განა იგივე პედაგოგია არ თხოულობს, მაგალითად, სკოლის ჰიგიენურად მოწყობას, მდიდარ კაბინეტებსა და ბიბლიოთეკას. მოწაფეების ჰიგიენურად ცხოვრებას და ბევრ სხვა რამეს? მაშ რაღას ვხანობთ, — თუ მარტო „პედაგოგიურ მოთხოვნილების“ ცოდნა საქმარისა, — ავდგეთ და ყველა ეს განვახორციელოთ! მაგრამ მარტო ასეთი „ცოდნა“, საუბედუროდ, პრაქტიკულად შორს ვერ წავიყვანს. ყოველი თეორიული დებულება, როცა იგი პრაქტიკულ მოქმედების პროგრამაში შეგვაქვს, არსებულ ცხოვრების რეალურ პირობების კვალობაზე უნდა აიწონ გაიზომოს და დაფასდეს. და ჩვენი ნივთიერი და გონებრივი მდგომარეობა ისეთია, რომ ქართულ მასწავლებელში, რომელსაც დატაკი საქველმოქმედო საზოგადოება აჩანჩალებს დიდის გაჭირვებითა და ვაი-ვაგლახით, მასწავლებლისთვის წელიწადში 378 საათის სასკოლო მუშაობის დაწესება უეჭველად ფუფუნებად და ბედოვლათობად უნდა ჩითვალოს. ამიტომ ბ.ნ. W-ზე უკეთესი ადვოკატიც ვერ შეიძლება ქართველ პედაგოგების გამართლებას, რომელთაც ახალის „რეფორმით“ დატაკ სკოლაში შრომა შემცირებს და ამით მასწავლებელს ხარჯი გაუდიდეს.

არ გვგონოთ, ვითომ ეს ხარჯის გადიდება მცირე და უმნიშვნელო არის. ადვოკატობის სურვილით გატაცებული ბ.ნ. W ისეთ ციფრებს აღნიშნავს, რომლებითაც მას

საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს, და ამიტომ საჭიროა განმეორებით შევეხოთ ამ საგანს. „ფ. გოგიჩაიშვილი დიდი სტატისტიკოსია, — სწერს ჩვენი ავტორი, — მაგრამ ზეპირად ანგარიში ერთობ ძნელია: წინანდელ ხარჯთ-აღრიცხვით 1906 წლის განმავლობაში მასწავლებლებზე უნდა დახარჯულიყო (იხილეთ ანგ. 1905 წ.) 50186 მან. 66 კ., ახალის შტატით კი 57600 მან. განსხვავება სულ 7413 მან. 34 კაპეცია“. ეს ციფრები თავიდან ბოლომდის მოკორექტებულია და ამტკიცებს, რომ ავტორს, არა თუ სტატისტიკა, ართმეტიკის პირველი მოქმედებაც კი ვერ შეუთვისებია. გთხოვთ გაშინჯოთ.

1905 წლის „ანგარიშის“ ხარჯთ-აღრიცხვაში შემდეგი ციფრებია მასწავლებლების ჯამაგირების აღსანიშნავად ნაჩვენები:

§ 1

I. მოსამზადებელ კლასის ოთხი ძირითადი განყოფილება (97 გაკვეთილი)	4790	„
II. მოსამზადებელ კლასის პარალელ განყოფილების ხარჯი (54 გაკვე.)	2320	„
III. დამატებითი ჯამაგირები	720	„

§ 2

I. რვა ძირითადის და ოთხის პარალელ გიმნაზიურ კლასების ხარჯები: ა) ძირითად გიმნაზიურ კლასებში 234 გაკვეთილისა 18610 მან. და ბ) პარალელ გიმნაზიურ კლასებში 116 გაკვეთილისა 9270 მან., სულ.	27880	„
II. სხვადასხვა დანარჩენ საგნების გაკვეთილები	2420	„
III. დამატებითი ჯამაგირები	1290	„

§ 3

სკოლის ადმინისტრაციის ხარჯი	10406	„ 66 კ.
სულ 49-826 მან. 66 კ.		

როგორც ხედ ვთ, ძველის ხარჯთ-აღრიცხვით 1906 წლის განმავლობაში მასწავლებლებზე უნდა დახარჯულიყო არა 50186 მან. 66 კაპ, როგორც ბ-ნი W ბრძანებს, არამედ — 49826 მ. 66 კ. მაგრამ ვაპატიოთ ეს მცირე შეცდომა, სამაგიეროდ შემდეგი შეცდომა, რომელსაც ახლა მოგახსენებთ, ყოვლად შეუწყნარებელი არის განსაკუთრებით ისეთ კაცსაგან, რომელიც სხვას „სინდის“ უზომავს და „სიცრუეში იჭერს“. ბ-ნი W-ს სიტყვით, მასწავლებელთა გაკვეთილების შემცირებამ და ჯამაგირების გადიდება 7413 მან. და 34 კაპეცით გააძლია სკოლის ხარჯები, ნამდვილად კი ეს სიცრუე გახლავთ, — ხარჯები 19695 მანეთითაა გადიდებული. ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით მასწავლებლების ჯამაგირებზე უნდა დახარჯულიყო ერთ წელიწადში 49826 მან. 66 კაპ., თუ პანსიონიც იქნებოდა და ოთხსავე მოსამზადებელ განყოფილებას მასწავლებლები ეყოლებოდა. ახალის ცვლილებით მომავლისთვის პანსიონი დახურულია და ორი მოსამზადებელი კლასიც მოსპობილია. და, აი, ამასე ვთქვათ — დაპატარავებულ მასწავლებელში, ახალის ნორმით, მასწავლებლების ჯამაგირებს სჭირდება 57600 მან., ძველის ხარჯთ-აღრიცხვით კი ამას დასჭირდებოდა 37905 მან. (ხარჯთ-აღრიცხვის საერთო ჯამს 49826 მან. 66 კაპეცს აკლ-

დება 8006 მან. 66 კაპ. ინსპექტორის თანაშემწეებისა და დამრიგებლების ჯამაგირები, რომელთა თანამდებობა პანსიონის არსებობასთან იყო შეკავშირებული, და ნახევარი წარმოადგენდა სამზადებელ კლასის განყოფილებებისა — 3915 მ. — ორი განყოფილების გაუქმების გამო). ამგვარად, ძველის ხარჯთ-აღრიცხვით მთელს მასწავლებელს, უპანსიონოდ და ორ მოსამზადებელ განყოფილების გამოკლებით, მასწავლებელთა ჯამაგირებზე მოუნდებოდა 37905 მან., ახალის ნორმით კი დასჭირდება 57600 მან., — განსხვავება, ე. ი. ხარჯების გადიდება სწორედ 19695 მან. არის. ბ-ნი W-მ კი ცხრამეტი ათასი მანეთი შვიდ ათასზე ჩამოიყვანა და ამ გვარად „პოდილოგი“ „სინდისიერ სიმათილედ“ გაასაღა.

აი, ეს შესძინეს ჩვენმა პედაგოგებმა ღარიბ ქართულ სკოლას თავიანთთვის გაკვეთილების შემცირებით და ეს აღვნიშნეთ ჩვენც ჩვენს პირველ წერილში. სხვათა შორის ამისთვისაც იყო გამართული ის ბრძოლა, რომელსაც მასწავლებლები ისეთი ენერჯიითა და თავგამოდებით ეწეოდნენ. სასკოლო საზოგადოებას პირდაპირ ეუბნებოდნენ და ემუქრებოდნენ, თუ ჩვენს პროექტს არ მიიღებთ და მოთხოვნილებს არ დააკმაყოფილებთ, ყველანი სამსახურს თავს ვანებებთო. ყოველი ცოტათი საქმეში ჩახედული და მიუკერძოებელი ადამიანი ამას გაფიცვის მუქარად ჩასთვლის. ბ-ნი W, რასაკვირველია, ამაშიაც არ გვეთანხმება და ამის თქმისთვის ცრუსა და მატყუარას გვეძახის. „ფ. გოგიჩაიშვილი კადრულობს მეორე სიტრუეს, როცა ამბობს, რომ მასწავლებლებმა გასამრჯელოს მომატება დაისახეს მიზნად და ამ მიზნის მისაღწევად გაფიცვას ასახელებდნენ“. მასწავლებლებმა გამოაცხადეს მხოლოდ: „თუ ძველ წესს დასტოვებთ, არც ერთ ჩვენგანს სამსახური არ შეუძლია და სხვები მოწვიეთო“. თუმცა ბ-ნი W რიხიანად „სიცრუეში“ გვამტყუნებს, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვთქვათ, რომ ზემოაღნიშნული განცხადება მასწავლებლებისა ნამდვილ გაფიცვის მუქარის მომასწავებელი არის. ეჰ, რა გულუბრყვილოდ უნდა სთვლიდეს ბ-ნი W თავის მკითხველებს, თუ მართლა ფიქრობს, რომ ამგვარ სიტყვების კოჰოაბით იგი ვინმეს დაარწმუნებს. მადლობა ღმერთს, ჩინეთიდან მოსულნი არ ვართ, — კარგად ვიცით ერთმანეთის ავანჩავანი და ისიც ვიცით, თუ ვინ სად და როგორ „წავა“ იმის გამოისობით, რომ მასი პროექტი სადმე არ იქნა მიღებული. და მერე სად წავიდიოდნენ მასწავლებლები, საზოგადო კრებას რომ უარი ეთქვა მათი პროექტის მიღებაზე? მქედლობას ხომ ვერ დაიწყებდნენ, — სახელმწიფო მასწავლებლებში მოსძებნიდნენ ხომ ალაგებს? და იქ კი მეტი თავისუფლება? აქვს მასწავლებელს, ვიდრე ქართულ გიმნაზიაში? განა რომელიმე სახელმწიფო გიმნაზიის მასწავლებლის მდგომარეობა თავისუფლების მხრივ, შეედრება ან წინად შეედრებოდა ქართულ გიმნაზიის მასწავლებლის მდგომარეობას? გიმნაზიაში კი არის ვითომ მასწავლებელთა „ავტონომია“, რომ ქართულ გიმნაზიიდან პედაგოგები იქ წასულიყვენ მასწავლებლად? ან მიიღებდნენ კი იქ ყველას? ან, ვთქვათ, ისინი მართლა წავიდიოდნენ: მერე ეს უეცრივი წასვლა მასწავლებლიდან მთელის კორპორაციისა არ იქნებოდა გაფიცვის მომასწავებელი? სად ეშოვა სასკოლო საზოგადოებას სულ რაღაც ერთი თვის განმავლობაში 20 25 მასწავლებელი? და თუ ვერ იშოვიდა, გახდებოდა თუ არა იძულებული ან სკოლა დაეცემა, ან მასწავლებელთა მოთხოვნა დაეკმაყოფილებია? ასეთის იარაღით ბრძოლა იღვისა და პრინციპის ნიადაგზე განა შესაწყნარებელია?

ჩვენ გვგონია, რომ ეს შესაწყნარებელი არაა და ამიტომ დაუფარავად და მოურიდებლად გამოვთქვით ის ჩვენი აზრი ქართულ გიმნაზიის მასწავლებელთა „რეფორმატორულ“ მოქმედების შესახებ. გულწრფელად აღვიარებთ, ჩვენ სულით და გულით მოხარული ვიქნებოდით, თუ ვინმე ჩვენს განმარტებას ნამდვილ საბუთებით დაარღვევდა, ვინაიდან მაშინ საფუძველი მოგვეცემოდა მეტის იმედით შეგვეხედა ერთადერთ ქართულ საშუალო სასწავლებლის მომავლისთვის. მაგრამ ბ-ნმა W-მა, გარდა უშვერ სიტყვებისა, ვერაფერი ჰპოვა ჩვენს საწინააღმდეგოდ თავის გონებრივ საღაროში. ამ უშვერობის სპასახობად ჩვენ მხოლოდ ერთი რჩევა უნდა მივცეთ ბ-ნ W-ს: მას ზეპირად სკოდნია ეს ანდაზა — „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“ — და ახლა ამის აზრსაც ჩაუკვირდეს. ვინ იცის, იქნებ, თავისთვის ცოტა რამ საგულისხმო გამოიტანოს აქედან...*)

გვინდოდა, წარსულ კვირას დაწყებული წერილი ამ ნომერში გაგვეთავებია, მაგრამ ამ ახალ-მოდის ადვოკატის ჩხირკედლოობამ დაგვაბანდა და ამიტომ დასასრული ისევ შემდეგი ნომრისთვის უნდა გადავდეთ.

ფ. გოგინაიშვილი.

პატარა შიშკრები

კავკასიის ახლანდელ ნამესტნიკს ერთ დროს ღლიან უყვარდა „ლიტერატურა“. ჯერ პეტერბურგიდან არ დაძრულიყო, რომ მთელი ეპისტოლე გამოუგზავნა კავკასიის ყველა ერებს, ყველას საახალწლო საჩუქრების ჩამოტანას დაპირდა და სამაგიეროდ თხოულობდა „დამშვიდებას“. ოფიციალურ „კავკასიაში“ და ტფილისის ქუჩებში ხშირად ნახავდით იმის მოწოდებას, რჩევას, მუქარას, საყვედურს და ზოგჯერ თხოვნასაც. საერთო აზრი ამ „ლიტერატურისა“ ისეთი იყო,

*) ბ-ნი W ასეთის ირონიით ასრულებს თავის წერილს: „კარგი იქნება, ფ. გოგინაიშვილმა ეს სტატისტიკური მეთოდი „ივერიის“ და საკუთარის მოღვაწეობის შესახებ მოიხმაროს: რა უჯდებოდა „ივერიის“ გამომცემელს ფ. გოგინაიშვილს დიდებულ მოღვაწეობის თითოვლი საათი ამ გაზეთის რეორგანიზაციამდის და რა უჯდებოდა ესლა, რეორგანიზაციის შემდეგ, როცა ფ. გოგინაიშვილმა, გაფიცვის მოუხდ წლად, შეიმკირა შრომა? რა ჯდება საზოგადოდ მთელი დიდი შრომა უებრო პუბლიცისტისა, რომ ორასი მკითხველი მსცოვან ორგანოსი დასტკეპს დაქმავფლდეს ფილოსოფიის დოქტორის ენაწყელიანობითა და სიბძნით.“ ამაზე, აი, რა უნდა მოვასწინო გახ. „შრომის“ რეპორტერს: ა ვუყოთ, ბედი ქვეყანაზე თანაწარად არ არის განაწილებული, — მთელ საქართველოს ერთად-ერთი ბ-ნი W მოვკოვებდა და სიცი, თავის უებრო კალმის წყალობით, გახ. „შრომას“ ამიდრებეს მკვითხველებით და „ივერიისთვის“ ისიც დიდი საქმე, თუ „ორასი მკითხველს“ მოუყარა თავი. რაც შეეხება ჩემს შრომასა და ჯამგარს, მიბრძანდეს „ივერიის“ გამომცემელთან და იმისგან გაიგებს დაწერილებით ამის აზრს. მაგრამ ბ-ნ W-ს ამ მივიბუღ-მოკიბულ სიტყვებით ალბად იმის თქმა უნდა რომ ფ. გოგინაიშვილი ერთად-ერთი ბ-ნი W მოვკოვებდა და თავისთვის კი არა, ამაზე საჭიროდ ვრაც საჯაროდ, მკითხველ საზოგადოებრივ თანადასწრებით ასეთი „ნება-რთვის ბარათი“ ვუბოძო ბ-ნ W-ს: თუ მან ოდესმე დაამტკიცოს, რომ ფ. გოგინაიშვილი შევიდა რომელსამე საზოგადოებრივ-ოფულ დაწესებულებაში და მოითხოვა თავისთვის შრომის შემკირება და სასყიდლის გადიდება და ან ამ მიზნისთვის გაფიცვა გამართა, მივიღეს მასთან და, უკამათოდ, პირში შეაფუქთხოს ლაზათიანად. დამეთანხმებით, რომ ასეთი სასჯელი მეტად მძიმე სასჯელია: ფურთხი საზოგადოდ ცოდ რამ არის და მით უფრო საძაგელია ფურთხი ისეთის კაცისა, როგორც ბ-ნი W ბრძანდება. ხოლო თუ მან ეს ვერ აღმოაჩინოს, მაშინ... მაშინ მე დამცეს მის შესახებ ასეთივე სასჯელის უფლება...

თითქო მთავრობას რჩევითა და ბრძანებით უნდოდა ცხოვერების ჩარხის გადმოტრიალება, სხვა და სხვა ცხოვერების ოლიან პროტესტების ჩაჩუმება და აღეგებულ ზღვის დამშვიდება. მაგრამ რჩევამ და მუქარამ ქარიშხალი ვერ შეაჩერა, ზღვა ვერ დაამშვიდა და ვერც ცხოვერების ჩარხი გადაატრიალა; პირიქით, საქმეები უფრო აირ-დაირია, აიწეწა...

ოფიციალური ლიტერატურა ერთ დროს მისწყდა: „კავკასიაში“ ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა მხოლოდ საკანაო წერილები და განკარგულებანი გენ. ტიმოფევისა, რომელიც ბუზბივით ხოცავდა პროგრესიულ ჟურნალ გაზეთებს.

კარგა ხნის შემდეგ კავკასიის მთავრობას ხელმოერედ მოაგონდა ოფიციალური ლიტერატურა. „პრავიტ. ვესტნიკ“-ში ვრცელი განცხადება დაიბეჭდა საქმის მდგომარეობის შესახებ. განცხადებას ბოლოში კავკასიის ნამესტნიკის სახელი და გვარი არ აწერია, მაგრამ ექვს გარეშეა, რომ განცხადების ტექსტი მის მიერ არის მოწონებული.

უბრალო საგაზეთო კორესპონდენცია უფრო მეტ მასალას აძლევს მკითხველს კავკასიის საქმეების შესახებ, ვიდრე ორ სვეტზე გაქიშული ოფიციალური განცხადება, რომელიც განგებ ისე შედგენილი, რომ ადამიანი ვერაფერს გაიგებს, რის თქმა უნდა კავკასიის ადმინისტრაციას და რით აპირობს ხალხის დამშვიდებას. განცხადებაში ნათქვამია, რომ ორიოდე მზრის გარდა მთელ კავკასიაში სამხედრო წესებია შემოღებული. აღმოსავლეთ კავკასიაში ეროვნული ბრძოლა განაღებული, საქართველოში კი რევოლუციონური და სოციალისტური მოძრაობაა. დღემდის რუსეთის „პატრიოტული“ პრესა სულ იმას გაიხარდა, რომ რუსეთში რევოლუციის ებრაელები „აკეთებენ“, რუსეთის ვაჭრობა მრეწველობაც ებრაელებმა და პოლიციონებმა ჩაიგდეს ხელში და რევოლუციისთვის საჭირო ფულსა და იარაღს იაპონელები და ინგლისელები იძლევიანო. ამის გამო „რუს. ვედ.“ კითხულობდა, თუ ერთი მუჟა ებრაელები მთელ რუსეთის ბედ-იღბალს ატრიალებენ, სადღა არის ასა მილონი რუსი და რაღას აკეთებენ თვითონ რუსებო? ამაზე ორიგინალურ პასუხს იძლევა „პრავიტ. ვესტნიკ“-ში მოთავსებული განცხადება კავკასიის ადმინისტრაციისა, რომელიც ირწმუნება, რომ საქართველო რუს რევოლუციონერებმა, საქართველოს უმაღლესმა წრებმა და სამღვდლოებამ გაარევოლუციონერესო. ასეთ აზრისა ყოფილა კავკასიის ადმინისტრაცია, რომელმაც ყველაზე კარგად უნდა იცოდეს საქმის ვითარება, მაგრამ რომელმაც, როგორც ტყობა, არაფერი არ იცის. საქართველოში მხოლოდ ესლა იწყება ბრძოლა ავტოკრეფალიისთვის, ადგილობრივი მთავრობა კი იწყება, რომ ამ საკითხმა თავისი სიმწვავე დაჰკარგაო. თუმცა განცხადება ამბობს, საქართველოს რევოლუცია მღვდლების საქმეაო, მაგრამ ცოტა ქვევით თვიონ უარჰყოფს ამ აზრს და აცხადებს, რომ „სამღვდლოებს ხალხში საკმაო ავტორიტეტი არა აქვს მოკვეთული“. განცხადების ბოლოში რეცეპტიც არის დაწერილი. კავკასიის ადმინისტრაციას აღუნიშნავს „საერთო ხასიათის ცვლილებანი“ ხალხის უმეტესობის უკმაყოფილების მოსასპობად. „მინისტრთა საბჭოში შეტანილ იქნა კანონპროექტი მემამულეებსა და გლეხებს შორის დროებით საფაღდებულო დამოკიდებულების მოსასპობად. რას ნიშნავს ეს რაღაც „საერთო ხასიათის ცვლილებანი“, არ ვიცით, მაგრამ ცხადია, რომ უმაღლეს მთავრობის წარმომადგენელი კავკასიაში ძველ ბიუროკრატიულ ნაჭრებით აპირობს კავკასიის დაკრეფ-

ბას და თვითმმართველობაზე ხმასაც არ იღებს. საინტერესო ის არის, როდის შეუდგებიან „საერთო ცვლილების“ განხორციელებას. სათათბირო მხოლოდ თეორიაში შეიკრიბება და ერთ-ორ წელიწადს რუსეთის საერთო საქმეებს მოუხდება. მერე შეიძლება ჩვენც გამოგვხედონ და კანონპროექტი მიიღონ ან უარჰყონ. დაწყება ჩვეულებრივი ბიუროკრატიული ჩხირკედლაობა, რომელსაც სათათბიროც ვერას უშველის და „საერთო ცვლილების“ ბედს ათიოდე წლის შემდეგ გავიგებთ „აჩქარებითა სოფელი არავის მოუქამიაო“, ამბობს მთავრობა. რა აქვს საშური მთავრობას! ოღონდ პროპაგანდისტებს მიუსწროს დროზე, ოღონდ რომელიმე სოფელი არ გადაუჩრჩეს დაუწვევლი, თორემ რეფორმები კანცელარიიდან სად წავლენ?..

* *

საზღვარ გარეთ მყოფ ქართველ სოც.-დემოკრატებსაც არა აქვთ რა საშური. ისინი დღესაც მოვლიან რუს სოც.-დემოკრატების პარტიის ცენტრალურ კომიტეტის ნებართვას, რომ ორ-დე გროში მოაგროვონ დაზარალებულ ქართველთა სასარგებლოდ. „საქართველოში ჯარის მხეცურმა მოქმედებამ მთელი ევროპა აალაპარაკა, იწერება „მუშის“ კორესპონდენტი შენევიდან. ჩვენი ქალების გაუბატოებამ, ჩვენ თანამომეტა სახლ-კარის გადაბუგვამ და იმათ უსახლ-კაროდ და ულუკმაპუროდ დარჩენამ, უკიდურეს მწუხარებაში ჩავგადლო.“ გულნატკენმა ქართველობამ გადასწყვიტა მოწოდებების გამოცემით და საღამოებისა და რეფერატების გამართვით ორიოდ გროში მოგვროვებია ერთი ქობი მაინც აეშენებია ერთ რომელიმე დამაწვარ ქართველისთვის, მაგრამ „ამ აზრმა ვერ მოიპოვა თანაგრძნობა“ — და მერე იცით, ვისგან? — საზღვარ გარეთის ქართველ სოციალდემოკრატებსაც ვან. შენევის ქართველებმა ხელის მოსაწერი ბარათები დაუგზავნეს ევროპის სხვადასხვა ქალაქებში მცხოვრებ ქართველებს, რომლებმაც და აპირეს ფულის მოგროვება, მაგრამ... მაგრამ ყური დავუგდოთ ისე კორესპონდენტს, რომელსაც ასეთი პასუხი მიუღია ლეიპციგიდან ერთ ამხანაგისგან: „თქვენნი გამოგზავნილი მოწოდება მივიღე. შევეუყარე ქართველებს თავი და ავუხსენი, როგორც იყო საქმე, მაგრამ რადგანაც აქ უმეტესობა სოც.-დემოკრატები არიან, აი როგორი რეზოლუცია გამოიტანეს: „ჩვენ, როგორც ინტერნაციონალისტი სოც.-დემოკრატები, პრინციპიალურად უარს ეყოფთ რაიმე მონაწილეობა მივიღოთ დაზარალებულ ქართველთა ფონდის დაარსებაშიო.“ დარმშტატელ სოც.-დემოკრ. ქართველობას პირდაპირ განუცხადებია, „თუ მოგვივიდა სრულიად რუსეთის სოც. დემოკრ.-ცენტრალურ კომიტეტის მოწოდება, მაშინ მივიღებთ მონაწილეობას, მაგრამ, რასაკვირველია, იმ პირობით, რომ შეგროვილი ფული ცენტრალურ კომიტეტს გადაეცემაო, რომელიც თვითონ ნახავს, ვინ არის გაჭირვებული, ქართველები, თუ პოლონელები, და გაანაწილებს ფულს საქირებისამებრ.“ პირადად მე იმ აზრისა ვარ, რომ მარქსიზმსაც იგივე დამართა, რაც ქრისტეს მოძღვრებას. პეტერბურგის მიტროპოლიტი ანტონი სახარებით ამტკიცებდა, რომ ქრისტეს მოძღვრება პოლიტიკურ დამნაშავეთა ჩამოხრჩობის წინააღმდეგი არ არისო. ქრისტეს თანამედროვე „მსახურნი“ ქრისტეს სახელით ამართლებენ დახვრეტას, ჩამოხრჩობას, ციხეში ამოღობობას და ყოველგვარ ძალმომბრეობას, ხოლო თანამედროვე მარქსისტები ინტერნაციონალის სახელით უარჰყოფენ მოძმის დახვრეტას და ამართლებენ უკიდურეს მონობას. დიად, დარმშტატელ „ამხანაგების“ პასუხი მონობს ქადაგებაა და სხვა აზ-


ფერი ისინი თანახმანი არიან შემოწირულება შეგროვონ დამაწვარ და დამწუღ ქართველების სასარგებლოდ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცენტრიდან ნებართვა მოუვათ, მაგრამ ამასთან მათ ისიც დაუპატეს, რომ შეგროვილი ფული უნდა გადაეცეს რუს. სოც. დემ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც „თვითონ ნახავს, ვინ არის გაჭირვებული, ქართველები თუ პოლონელებიო.“ დაგმით დაბრმავებული დარმშტატელი „ამხანაგები“ იმას ვეღარ ხედავენ, რომ ეს „თვითონ ნახავს“ საფუძველია თანამედროვე მონობისა. ისინი უარჰყოფენ ყოველგვარ თვითმოქმედებას და იმდენად დაბრმავებულნი არიან ყოვლის მკოდნე და ყოვლის შემძლე ცენტრალურ კომიტეტის ძალით, რომ თავიანთ პირად საქმესაც პლებანოვ-ლენინებს ანდობენ.

მაგრამ გავანაბოთ თავი ლეიპციგიელ და დარმშტატელ „ამხანაგებს“ და მათ სულელურ (მაპატით ეს მაგარი სიტყვა) საქციელს და ბარბაროსულ ლოდიკას. ამჟამად ძალაუფლებურად მაგონდება ამას წინადა გორში მომხდარი ამბავი, რომელიც საესებით და ნათლად ამტკიცებს ჩვემებურ სოც. დემოკრატების სრულ გონებრივ სიკოტრეს, სიდატაკეს და სიბრმავეს. გაზაფხულზე, როდესაც მთელი საქართველო ტყე მინდვრებში იყო გახიზნული, როდესაც ათას ოჯახს და ათი ათას აქც ტანისამაოი, ლუკმა პური და თავშესაფარი არ ჰქონდა, როდესაც ქართველთა საზოგადოების შეგნებული ნაწილი ორიოდ გროშის შეგროვებას ცდილობდა დაზარალებულთა სასარგებლოდ, ამ დროს გორის სოც. დემოკრატებმა საქველმოქმედო წარმოდგენა გამართეს საფრანგეთში დაზარალებულ სამთამადნო მუშების სასარგებლოდ. რა უნდა დავუმატო ამ ფაქტს? რა უნდა ვუთხრა, რა ვუპასუხო დარმშტატელ და ლეიპციგიელ „ამხანაგებს“? რომელი ლოდიკით უნდა შეანგრიო მათი შუბლი, რომელიც ცარიელ სიტყვებს და ათასგვარ „იზმებს“ ისე გაუყენიათ, რომ მისი გათბობა და გადნობა ვეღარაფრით ვერ შეიძლება.

არიან ისეთი სოც. დემოკრატები, რომელნიც სერიოზულად ამტკიცებენ, რომ ავტონომისტებსა და ფედერალისტებს საქართველოში ბატონ-ყობის აღდგენა უნდათო. სწორედ მოგახსენოთ, ამ საგანზე ასეთ ადამიანებთან ლაპარაკი მე ყოველთვის წყლის ნაცყად მიმაჩნდა და მიმაჩნია; პირადად მე ასეთ ადამიანს სიბრალულით გადავხედავ, მწარედ გავიღმები და მოვშორდები ხოლმე. დარმშტატელი და ლეიპციგიელი „ამხანაგებიც“ სხვა პასუხის ღირსნი არ არიან, — იმათაც სიბრალულით უნდა გადახედოთ, პირში გაუღიმოთ, ხელი ჩაიქნოთ და მიუტყევოთ საქციელი მათი, „რამეთუ ზრ იციან, რასა იქოდნ“.

* *

დარმშტატელ „ამხანაგების“ საქციელი განსაკუთრებულ მოვლენას არ წარმოადგენს. ჩვენ, ქართველებს, ვერავითარი სოც. დემოკრატიული რეზოლუცია ვეღარ გავგაკვირვებს. ჩვენ მოვესწარით პროლეტარიატის დიქტატურას, ნაძალადეგში დაბანაკებულ კომიტეტის ბრძანებით გაზეთების დაკეტვას და სოციალიზმის სახელით ადამიანის ძირითად უფლებების შელახვას. ყველას გვახსოვს დეკემბრის გაფიცვა, რომელიც იმით დაიწყო, რომ აკრძალულ იქმნა ყველა გაზეთები, გარდა სოც. დემოკრატიულ „სივისა“, რომელიც გაფიცვის ბიულეტენი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რომელშიაც მეთაური წერილებიც იბეჭდებოდა და ფელეტონებიც. ჩვენ ისიც გვახსოვს, ვინ გამოსცა ეს ბრძანება. ამის შემდეგ რა საკვირვე-



ლია რეზოლიუცია დარმშტატელ „ამხანაგებისა“, რომელნიც ყველაფერს ცენტრალურ კომიტეტს ახვევენ თავზე და იქნება მალე იმასაც მოვესწროთ, რომ ცენტრალური კომიტეტი „ამხანაგების“ მაგივრად გამოაცხადებს, საქართველოში შეკრებილი ფული დაზარალებულ სან-ფრანცისკოელებს გაუგზავნეთო.

ჩვენებური ს.-დემ. წამალ-უწყუმ გაიძახიან, სამაგალითო ორგანიზაცია გვაქვსო. პრინციპიალურად ისინი ცენტრალი-სტები არიან და პარტიული ორგანიზაცია „დემოკრატიულ“ ცენტრალიზმის პრინციპზე აქეთ აშენებული. მაგრამ ნამდვილად, რაც ხდება მათ პარტიაში, თვითონაც ვერ გაუგიათ. ისინი იმიტომ არიან დიალექტიკურ აზროვნების მომხრენი, რომ გაამართლონ ყოველგვარი ძალმომრეობა და თვითნებობა. ბიუროკრატია ყველაზე მეტად პრესას სდევნიდა და ჩვენებურმა სოც. დემოკრატებმაც ყველაზე დიდი ყურადღება პრესას მიაქციეს. იმათ, რასაკვირველია, მშვენივრად იციან თავისუფალ სიტყვის ძალა და გამწარებით სდევნიან ამ სიტყვას იქ, სადაც იგი მათ წინააღმდეგ არის მიმართული. ყველას ეხსომება ამას წინად ატეხილი კინკლაობა გაზ. „მუშას“ და სოც. დემოკრატებს შორის. სოც. დემ. ამ შემთხვევაში საოცარი მხნეობა და ენერჯია გამოიჩინეს, მობილიზაცია უყვეს თავიანთ არმიას და სასტიკი ომი გამოუცხადეს „მუშას“. ჯერ იყო და ეს გაზეთი ფურთხით და ზიზლით გაავსეს, მერე პირდაპირ მოსთხოვეს სახელის გამოცვლა, რადგან „მუშა“ მუშის სახელს შეურაცხყოფსო და როცა დარწმუნდნენ, რომ ერთი მუქა „მუშების“ შეშინება და დაბრყვება არც ისე ადვილი ყოვილა პასივურ ტაქტიკაზე გადავიდნენ და ბოიკოტი გამოუცხადეს მათ გაზეთს, ერთი გაზეთების დამტარებელი ჩივის ამ გაზეთის ფურცლებზე: „როდესაც გამოვდივარ რომელიმე ქუჩაზე გაზეთების გასაყიდად მოცივდებიან ჩემთან ვიღაცა უცნობი პირები ორივე სქესისანი და დამიწყებენ მუქარას; სიკვდილით და ისჯები, თუ ყოველთვის ერთად ერთი სოც. დემოკრატული „სიმართლე“ არ გაგიყიდაო“. ამისთანა ამბები პირველად არ იბეჭდება ქართულ გაზეთებში. ზოგიერთი ფანატიკოსები ისეთ გულმოდგინეობით სდევნიან მათთვის სახიფათო ლიტერატურას, რომ ჟანდარმსაც კი შეშურდება მათი ენერჯია. ერთი მითხარით, რით განირჩევიან ამ მხრით ჩვენებური სოც დემოკრატები თვითმპრობელობისგან? მე ამ კითხვას იმიტომ კი არ ვიძლევი, რომ შეურაცხყოფა მივაყენო ს.-დემოკრატებს, არამედ გულწრფელად და ობიექტიურად მინდა გამოვიკვლიო ეს საკითხი. ჩემის აზრით მათ შორის არსებითად არავითარი განსხვავება არ არის. ორივეს არ მოსწონთ მათ წინააღმდეგ მიმართული ლიტერატურა და ორივენი სდევნიან ამ ლიტერატურას.

გონებრივ ბატონყმობას დაჩვეული სოც. დემოკრატები ამას „პროლეტარიატის დიქტატურას“ უწოდებენ, მაგრამ ჩემთვის სულ ერთია, ვინ არის დიქტატორი და თვითმპრობელი, — დურნოვო და ტრეპოვი თუ სოროში დამალული კომიტეტი და სოციალისტის იარლიკით შეიარაღებული მიტროფანუშკები...

ა—დღი.

რუსეთის მთავრობის ფინანსური პოლიტიკა

1892 წლიდან გრ. ვიტტეს მიერ დაწყებული რუსეთის ფინანსური სისტემა დღესაც ძირს უთხრის რუსეთის ეკონომიურ კეთილდღეობას და, როგორც ეტყობა, რუსეთის მთავრობა ჯერაც არ აპირობს ამ პოლიტიკის შეცვლას. ამ გზაზე პირველად გრ. ვიტტემ შესცავა ფეხი. მოსალოდნელი იყო, რომ 1893 წელს, წინა წლების შემოშლის გამო სახელმწიფო ფინანსები შეირყუოდა. მაგრამ ნამდვილად აღმოჩნდა, რომ შემოსავალმა 84 მილიონით გადააჭარბა მოსალოდნელ შემოსავალს. მიუხედავად ამისა მანც ცხადი იყო, რომ ეკონომიურმ. კეთილდღეობამ იკლო, მაგრამ ვიტტემ ამას არავითარი ყურადღება არ მიაქცია და სპირტზე, ღვინოზე, ლუღზე, თუთუნზე და წუმწუმზე აქციზი მოუმატა. სამინისტროს ანგარიშით უნდა შემოსულიყო ზედმეტი 24 1/2 მილიონი, ნამდვილად კი ამაზე მეტიც შემოვიდა. წლის ბოლოში ცხადად დამტკიცდა, რომ ვიტტეს მიერ მოგონილ ახალ გადასახადების შემოღება სულ მეტი იყო: ამ წელსაც ჩვეულებრივი შემოსავალი მოსალოდნელზე 84 მილიონით მეტი შემოვიდა. ამის გამოაგარიშება წინდაწინვე ადვილად შეიძლებოდა, მაგრამ სამინისტრო მხოლოდ იმას დასდევდა, რომ რაც შეიძლება მეტი შემოსულიყო ხაზინაში და იმას კი აღარ უყურებდა, რომ მოუსავლობის გამო გადატაკებულ ხალხს მძიმე ლოდევით აწვეებოდა ახალი გადასახადი. ყოველ წელს ვიტტე ისეთი სიფრთხილით ადგენდა ხარჯთ-აღრიცხვას, რომ ყოველთვის შემოსავალი გასავალს აღემატებოდა და 10 წლის განმავლობაში ჩველებრივმა შემოსავალმა მოსალოდნელ შემოსავალს 1175 მილიონით გადააჭარბა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1901 წ. 1 იანვრისთვის სახელმწიფო ხაზინის თავისუფალი თანხა მხოლოდ 105 მილ. უდრიდა. ასეთ პოლიტიკით ვიტტეს უნდოდა თავისუფალი თანხა მოეგროვებინა და მოულოდნელი დიდი ხარჯები ამ თანხით დაეფარა და თავიდან აეცილებინა ყოველ წლიური სესხები. მაგრამ რა შედეგი მოჰყვა ასეთ პოლიტიკას, — ეს ყველამ ვიცით.

რვა წლის განმავლობაში გადარჩენილ თანხებიდან ერთი მილიარდი მანეთი შეგროვდა. ამას უნდა მიუმატოთ რამდენიმე ასი მილიონი საგარეო სესხი. ორივე თანხა ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილი იყო „თავისუფალ თანხის“ რუბრიკაში. ეს „თავისუფალი თანხა“ ყოველ წლივით თანდათან კლებულობდა და 260 მილიონიდან რვა წლის შემდეგ 105 მილიონამდის დაეცა. სრულიად რომ არ გამქრალიყო ეს „თავისუფალი თანხა“, ვიტტე ხშირად საზღვარ გარეთ დიდ ფულს სესხულობდა (1096 წელს ისესხა 176 მილ., 1901 წ.—150 მილ.) და ახალ მილიონებს ისევ ამ თანხას უმატებდა. ვიტტეს მიერ შემოღებულ ფინანსიურ პოლიტიკას მშვენივრად ახასიათებს მისი საყვარელი ჩვეულება არა პირდაპირ გადასახადების მომატებისა. ახალი მინისტრი 1893 წელს შემოღებულ ახალ აქციზებით არ დაკმაყოფილდა და 1900 წელს ხელმოგორედ მიუმატა აქციზს სპირტზე, თიშბაქოზე, ლუღზე და საზღვარ გარეთიდან შემოსულ საქონელზე. მიზეზად ის მოიგონა, რომ ჩინეთის ომმა ბევრი ფული ჩაყლაპაო, მაგრამ ის კი დაავიწყდა, რომ „მოულოდნელ ხარჯებისთვის“ თვითონვე მოაგროვა ერთი მილიარდი მანეთი.

ჩინეთის ომზე დახარჯული ფული ისევ ჩინეთს გადაახდევინეს, მაგრამ ამავე ხარჯების დასაფარავად გამოგონილი ახალი გადასახადები აღარ მოსვენს და დღევანდლამდის დარჩა.

1893 წელს ვიტტემ სამინისტროდან უკანვე გამოიტანა ვიშნეკარდსკის მიერ შედგენილი პროექტი შესახებ შემოსავლის დაგვარად გადასახადების შემოღებისა და ეს პროექტი მას აქეთ არხივში დევს. მართალია, 1894 წელს შემოღებულ იქნა ახალი პირდაპირი გადასახადი ბინაზე, მაგრამ თვითონ ვიტტემ აღიარა, რომ ახალი გადასახადი უფრო საცდელად იყო შემოღებული. ვიდრე ფინანსიურ პოლიტიკის შესაცვლელად.

რაც დრო მიდიოდა, რუსეთში თანდათან იზრდებოდა და ვითარდებოდა ვაჭრობა და მრეწველობა, რომელსაც ახალი წყარო უნდა მიეცა ხაზინისთვის, მაგრამ ამ დარგზე გადასახადების მომატება პროტექციონიზმის პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა, ამიტომ ვიტტემ არა თუ პროგრესიულად არ მოუმატა ამ საგანზე გადასახადებს, არამედ დაუკლო კიდევაც და ზოგიერთი დარგი მრეწველობისა სრულიადც გაანთავისუფლა გადასახადებისგან. 1893 წელს ვაჭრობისგან შემოსული გადასახადი უდრიდა მთელი შემოსავლის 3,90/0-ს, 192 წელს კი—3,70/0-ს.

ვიტტემ მრეწველების გარდა არც სხვებს აწყენინა და 1894 წლიდან რკინის გზებზე I და II კლასების მგზავრებს 10/0 დაუკლო. გარდა ამისა 1895 წელს გაანთავისუფლა ყოველნაირ გადასახადებისგან ისინი, ვისაც მიწის მემკვიდრეობა რჩებოდა მახლობელ ნათესავებისგან. ეს რეფორმა წელიწადში 3 მილიონზე მეტს აძლევს შემამულებებს. 1896 წლის მანიფესტით 50/0 დაუკლეს მიწის გადასახადს (7 1/2 მილ.). და კიდევ ბევრი სიკეთე უბოძეს შეძლებულებს. ასეთ რეფორმებს ის მოჰყვა, რომ პირდაპირი გადასახადები 1893 წლის ხარჯთაღრიცხვს 24/0 შეადგენდა, 1902 წელს კი მხოლოდ 17/0 ს. იმის მაგივრად, რომ არაპირდაპირ გადასახადებისთვის მოეკლოთ და პირდაპირი გადასახადები შემოეღოთ, მთავრობა პირუკუღმა მოიქცა და პირდაპირ გადასახადებს დაუკლო, არა პირდაპირს კი—უმატა.

თანამედროვე ფინანსიურმა მეცნიერებამ დიდი ხანია დაამტკიცა და საანბანო ქეშმარიტებად გადააქცია ის აზრი, რომ სახელმწიფო ფინანსები და ხალხის ეკონომიური კეთილდღეობა მაშინ არის დამყარებული მკვიდრ ნიადაგზე, როცა პირდაპირი გადასახადები ვაცილებით სჭარბობს არაპირდაპირ. გადასახადებს, მაგრამ რუსეთის ფინანსიურ პოლიტიკის მეთაურებმა ეს აქსიომა ყირამალა გადაატრიალეს და გამოაცხადეს, რომ, რაც უფრო ნაკლებია პირდაპირი გადასახადები, მით უფრო უკეთესია ხალხისთვისაც და სახელმწიფოსთვისაცო. გრაფი ვიტტე ხშირად იმეორებდა თავის მოხსენებაში, რომ არაპირდაპირი გადასახადები სჯობია პირდაპირ გადასახადებს. რადგან, ჯერ ერთი, მათი მოკრეფა უფრო ადვილია, მეორე, — არაპირდაპირი გადასახადი უფრო სამართლიანია და მესამე, — არაპირდაპირი გადასახადები სახელმწიფოსთვის სახიფათო არ არისო. საჭირო არ არის კამათი იმის შესახებ, თუ რამდენად სამართლიანია არაპირდაპირი გადასახადები და რამდენად უსამართლოა პირდაპირი გადასახადები, რადგან პასუხი ამ კითხვაზე იმდენად ცხადია, რომ იგი ეხლა საანბანო და საბავშვო ქეშმარიტებად არის გადაქცეული, მაგრამ ის კი მართალია, რომ არაპირდაპირ გადასახადების აკრეფა მთავრობისთვის ვაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე პირდაპირ გადასახადებისა. მაგრამ აქაც ერთი საინტერესო საკითხი იბადება: ვისთვის და რისთვის ზრუნავს მთავრობა, ხაზინისთვის თუ ხალხისთვის? მართალია, არაპირდაპირ გადასახადების სი-

სტემას თავისი კარგი მხარეც აქვს, მაგრამ საქმე ის არის, რა უფრო სჭარბობს ამ შემთხვევაში, სარგებლობა ანუ ხარჯი არაპირდაპირ გადასახადების გადახდა ღირს ხალხისთვის თუ არის არის კარგი, რომ ის წვირლწვირილად და შეუმჩნეველად იხდის მას, იგივე სისტემა ხალხისთვის კიდევ იმით არის კარგი, რომ სახელმწიფო ნაკლებად ხმარობს ძალას გადასახადების მოკრეფაში, მაგრამ მეორე მხრით ამავე სისტემას იმდენად დიდი ზარალი მოაქვს ხალხისთვის, რომ სარგებლობა ზარალთან შედარებით არაფერია. უმთავრესი უპირატესობა პირდაპირ გადასახადებისა ის არის, რომ ეს სისტემა უმთავრესი იარაღია ხალხის ხელში მთავრობასთან ბრძოლის დროს, რაც, რასაკვირველია, სახიფათო არ არის მთავრობისთვის, ხოლო მეორე უპირატესობა ის არის, რომ პირდაპირი გადასახადი უფრო სამართლიანია, რაიც ისევ საზარალო მთავრობისთვის, რომელიც შეძლებულ კლასების ინტერესების გამომატველი და დამცველია. ათი წლის განმავლობაში მომხდარი ცვლილება სახელმწიფოს შემოსავლის მთავარ წყაროებისა გვიჩვენებს, რომ არაპირდაპირ გადასახადებს თითქო დაუკლიათ კიდევ, მაგრამ ეს მხოლოდ თვალის მოტყუილებაა. ათი წლის განმავლობაში მომხდარ ცვლილების გასათვალისწინებლად შემდეგ ცხრილს მოვიყვანთ:

	მილ. მან.	0/0-ით იმატა
	1892 წ.	1902 წ.
არა პირდაპირი გადასახ.	417	387 + 8
პირდაპირი გადასახადი .	164	217 + 32
ბაჟი	59	92 + 56
სახაზინო ქონება	139	508 + 265
მთავრობის რეგალიები .	36	522 + 1350

არა პირდაპირ გადასახადების დაკლება 80/0-ით უნდა აიხსნას 1902 წელს შემოღებულ ხარჯთაღრიცხვის შედგენის ახალ წესით. ამ წლიდან დაწყებული არცის შემოსავალი, რომელიც ამ ეხმად შემოსავლის თითქმის მთავარ წყაროს შეადგენს (ამ დღეებში დებეშაც იყო, რომ წრეულს რუსეთი შარშანდელთან შედარებით ერთნახევარჯერ მეტ არაყს ხმარობს), არაპირდაპირ გადასახადების რუბრიკიდან ამოშალეს და სახელმწიფო რეგალიებში შეიტანეს. ეს თანხა რომ აქედან ისევ „არაპირდაპირ გადასახადებს“ რუბრიკაში შევიტანოთ, ჯამი ამ შემოსავლისა 1902 წელს 254 მილიონით გადააქარბებს 1892 წლის ჯამს და, მაშასადამე, პროცენტიც მოიმატებს და არ იკლებს.

შემოდ მოყვანილ ციფრებიდან ცხადად სჩანს, რომ ხაზინის შემოსავალი მატულობს არა მარტო არაპირდაპირ გადასახადების მომატების გამო, არამედ სახელმწიფო მეურნეობის განვითარების გამოც. 1892 წლიდან 1902 წლამდის ყველაზე მეტად იმატა რკინის გზის შემოსავალ-გასავალმა (1892 წ. შემოსავალი უდრიდა 81 მილიონს, 1902 წ. კი—396 მილიონს). რეგალიების შორის პირველი და უმთავრესი ადგილი უჭირავს არაყის მონოპოლიას. ათი წლის წინად ეს რუბრიკა სრულიად არ იყო რუსეთის შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვაში, წრეულს კი ამ საქმიდან 463 მილიონს მოეკლიან.

თუ როგორის სისწრაფით მატულობს შემოსავალ-გასავალი რუსეთის საფინანსო სამინისტროს ხელში, ნათლად მოსჩანს შემდეგ საინტერესო ცხრილიდან.

ხარჯთაღრიცხვით 1892 წ. ხარჯ-აღრ. 1902 წ.

	მილ. მან.	0/0		მილ. მან.	0/0
სახელმწიფოს უმჯობობა- მილ. მან.					
წე (სახლავა-სამხედრო და გარეშე საქმეთა სამინისტროები). 313,7	32,5	429,8	22,1		
შინაური მატერიალობა (იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები და უმაღლესი დაწესებულებანი)	107,6	11,2	143,7	7 4	
სუღაქა გულტურა (უწმ. სინოდი და საერო განათლების სამინისტრო)	33,3	3,5	64,6	3,3	
მატერიალ. გულტურა (სამიწათმოქმედო და გზათა სამინისტროები)	123,0	12,7	646,5	33,2	
ფისკა (კონტროლი და ფინანსთა სამინისტრო).	123,3	12,8	347,8	17,9	
გალების გადსდა	247,8	25,6	286,5	14,7	
სახოგადო ხარჯება (კარის სამინისტრო და მოულოდნელი ხარჯები)	16,6	1,7	27,7	1,4	
	965,3	100	1946,6	100	

ათი წლის წინად სახელმწიფოს დაცვის პირველი ადგილი ეკირა და თუმცა 1902 წელს წინააღმდეგობით სამხედრო საქმეზე 100 მილიონით მეტი დაიხარჯა, მაგრამ საზოგადოდ სამხედრო ხარჯმა სხვა ხარჯებთან შედარებით ნაკლებად იმატა. ორასი წლის წინად სამხედრო საქმეს მთელი შემოსავლის 1/5 უნდებოდა, ასი წლის წინად—1/2, წარსულ საუკუნის მე-90 წლებში 1/3-ად ეხლა კი—1/4.

სულ სხვას გვაჩვენებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის განვითარების ისტორია. ოდესღაც, პეტრე დიდის დროს, ამ სამინისტროზე იხარჯებოდა მთელი სახელმწიფოს შემოსავლის 20%, მას აქვთ კი ეს ხარჯი თანდათან მატულობს აბსოლუტურად და პროცენტობითაც. რეფორმების დროს, ხარჯი ამ სამინისტროზე შედარებით სწრაფად მატულობდა, სახელმწიფო ცხოვრების მაჯის ცემის შეჩერების დროს კი, პირიქით, ან კლებულობდა, ან ნაკლებად მატულობდა. 1801 წელს აღმინისტრაციასზე და სასამართლოზე დაიხარჯა მთელი შემოსავლის 90%, ნიკოლოზ I-ის მეფობის შუა ხანაში დაიხარჯა 70%, 1870 წელს, ე. ი. რეფორმების დასრულების წელს—13%, ათი წლის წინად—11% და უკანასკნელ ხანებში—7%. უკანასკნელ დროს სამაგიეროდ ძალიან იმატა ქალაქებისა და სოფლების ხარჯმა პოლიციისა და წოდებრივ დაწესებულებათა შენახვაზე. მიუხედავად ამისა შინაგან საქმეთა სამინისტროს ფუნქციები იმდენად გართულდა, რომ იგი ხშირად იწვევს საშველად ჯარს, რის გამოც სამხედრო უწყების ხარჯმაც მოიმატა. სამხედრო სამინისტროს ხარჯთაღრიცხვაში შესამჩნევი ადგილი უკირავს უანდარბთა კორპუსის შენახვისთვის საჭირო თანხას, რომელმაც 1902 წელს უცებ 280%-ით იმატა.

საერო კულტურა, როგორც ეტყობა, მეტი ბარგი ხდება რუსეთის მთავრობისთვის. 1892 წელს საერო განათლების სამინისტროს ბიუჯეტი (22 მილ.) ორჯერ სჭარბობდა სასულიერო უწყების ბიუჯეტს (11 მილ.), ეხლა კი მათ შორის მხოლოდ 30% ით არის განსხვავება. აქედან სჩანს,

რომ საერო განათლების საქმე შედარებით სასულიერო უწყებასთან ზანტად მიდიოდა წინ. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ სასულიერო უწყების მხრუნველობა შეეხებოდა მხოლოდ მართლმადიდებელ რუსეთს, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტში შეტანილი თანხა იმავე საქმისთვის არარუსთათვის ერთ ადგილზე გაიყინა და ცოტათი იკლო კიდევ (1892 წელს გადაიღო 1745 ათასი მანეთი, 1902 წელს კი—1744 ათასი). წინად შინაგან საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი საერო ბიუჯეტთან შედარებით კუს ნაბიჯით მიიწე მატულობდა. უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში კი, პირიქით, უკან უკან დაახია 1892 წელს საერო განათლებაზე დაიხარჯა მთელი შემოსავლის 2,270%, 1902 წელს კი მხოლოდ 1,880%. ერთ და იმავე ხნის განმავლობაში საერო განათლების ხარჯმა 1 1/2-ჯერ იმატა, სპეციალურ განათლებაზე დაიხარჯა ორჯერ მეტი, სასულიერო განათლებაზე კი შეიღჯერ მეტი.

არსებულმა ფინანსურმა პოლიტიკამ იკამდის მიიყვანა მთავრობა, რომ მიწადმოქმედების სამინისტროც შემოსავლის წყაროდ გადაეცია. 1892 წელს ამ სამინისტროს წმინდა შემოსავალი ჰქონდა 14,6 მილიონი, 1897 წელს—25,4, 1902 წელს კი 53,2 მილიონი, სამინისტრომ საკუთრეო კულტურის საქმე სულ გადაივიწყა და უბრალო ჩარჩობა დაიწყო.

დარჩა მხოლოდ გზათა სამინისტრო, რომლის ბიუჯეტმა შეიღჯერ იმატა. რუსეთის სამეურნეო ცხოვრებაში რკინის გზების განვითარებას სისწრაფით პირველი ადგილი უკირავს. მაგრამ მისი შემოსავალ-გასავალი სრულიად არა ჰვავს მიწათმოქმედების სამინისტროს შემოსავალ-გასავალს. ავილოთ ისევ სტატისტიკა, რომელიც უფრო მოკლედ და ნათლად გვიჩვენებს გზათა სამინისტროს ბიუჯეტის განვითარების ისტორიას.


ჩვეულებრივი შემოსავალი:	1892 წ.	1897 წ.	1902 წ.
სახაზინო გზები	75,4	260 0	396,0
შემოსავალი კერძო რკინის გზებიდან	4,3	1,8	2,9
სავალდებულო გადასახალი კერძო რკინის გზებისა	26,5	14,8	10,0
სულ	106,2	276,6	408,9

ჩვეულებრივი ხარჯა:			
სახაზინო გზების ექსპლოატაცია	41,8	173,8	297,6
გზების გაუმჯობესება, ვაგონებისა და მანქანების შექმნა	—	25,3	61,2
რკ. გზ. საზოგ. დახმარება	18,0	0 9	6,2
სულ	59,8	200,0	404,9

ანაჩვეულებრივი ხარჯა:			
ციმბირის რკინის გზა	—	64,4	15,8
სხვა რკინის გზები	35,5	64,7	149,9

ჯამი ყველა ხარჯებისა:	93,3	—	329,1	570,6
განსხვავება შემოსავლისა და ხარჯების შორის.	12,9	—	52,5	161,6

როგორც ხედავთ, ხარჯი უფრო სწრაფად მატულობს შემოსავალზე. ათი წლის წინად რკინის გზები წმინდა მოგე-



ბასაც კი იძუდნენ, ეხლა კი დიდ ზარალის მეტი არაფერი მოაქვთ. ცხადზედ უცხადესია, რომ რკინის გზების ასეთი სწრაფი განვითარება ნამდვილ საქარობით არ არის გამოწვეული. მთავრობის აზრით მთელი რუსეთის დახლოება რკინის გზებით ნიშნავდა სახელმწიფოს ეკონომიურ განვითარებას, მაგრამ ნამდვილად ისე გამოვიდა რომ მათმა გაყვანამ სრულიადაც არ გამოიწვია სახელმწიფოს ეკონომიურ ცხოვრების ისეთ სწრაფი განვითარება, როგორც ამას მთავრობა მოელოდა.

სამწუხაროდ, ჩვენ მოკლე წერილში საესებით და დაწვრილებით ვერ გავარჩევთ რკინის გზების განვითარების ისტორიას, რომელიც ყველაზე უფრო ნათლად და ცხადად დაგვანახებებს რუსეთის მთავრობის ფინანსიურ პოლიტიკის სიყალბეს და ეკონომიურ ცენტრალიზაციის სრულს უფარგისობას თვითონ ხაზინისთვისაც და ხალხის ეკონომიურ კეთილდღეობისთვისაც. ჩვენ შეგვეძლო ამ აზრის დასამტკიცებლად დაწვრილებით გაგვეჩინა რუსეთის ეკონომიურ ცხოვრების დანარჩენი მხარეებიც — ქალაქი და სოფელი, მუშაა საკითხი, პროტექციონიზმი და სხ., — მაგრამ ნათქვამიც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ შედგენილი პროგრამა ეკონომიურ ცენტრალიზაციისა, რომელიც საესებით გამოიხატება შემოსავლის ცენტრალიზაციაში, ცხოვრებამ არ შეიგუა და არ მიიღო. ეს პროგრამა შედგენილია გრაფ ვიტტეს მიერ, რომელმაც მას ფილოსოფიური საფუძველიც კი გამოუჩინა და მთავარ მიზნად რუსეთის ეროვნულ სიმდიდრის განვითარება დაისახა, მაგრამ 1903 წლის ხარჯთაღრიცხვის გამო შედგენილ მოხსენებაში ავტორი თითქმის ტყდება და აღიარებს, რომ ის შესცდა და მის ფინანსიურ პოლიტიკას საფუძვლად უდევს რუსეთის ხელუხლებლობის უზრუნველყოფა. ეხლა თვითონ მთავრობამაც შეიგნო თავის ეკონომიურ პოლიტიკის სიყალბე, რომელმაც რუსეთი გააკოტრა, და უკვე ემზადება მის შესაცვლელად, მაგრამ ძირითად რეფორმების მაგივრად იგი ისევე ძველებურ გზას ადგება და დაკერებით აპირებს იმ საძირკველის განახლებას, რომელზედაც აშენებულია რუსეთის პოლიტიკური ბედი და ეკონომიური კეთილდღეობაც.

ა.

ნ რ დ ა რ ი

(პოემა)

ჰოი, პოეზია! დროთა ცვლის ძალით
 დღეს ბნელ ყურეში ხარ მიგდებული;
 ხელი აგაღეს: აღარ-რად გაგდებს
 შენ აღარც მცირე, არც დიდებული...
 წინედ ქებული აზრთ აღმაფრენა,
 ფიქრნი სურათად ნაქანდაკარი —
 განქრა, დავიწყდა... გზა დაგილოცეს
 და სამუდამოდ დაგიცდეს კარი.
 შენს საღმრთო მთაზედ ბარით აღვიდნენ,
 არხი გაავლეს შენს წმინდა ტაძრებს
 და დღეს დაცინვით იხსენიებენ
 შენს ქვეშევრდომთა ნაფიქრ-ნააზრებს.
 გონების საზრდო ჩასთვალეს ფუქად,
 სულის მაგიერ გამიფდა ხორცი...

ჰოი, საბრალოვ, დღეს შენ გამხდარხარ
 თავხედთ სამასხრო და ფერხთ-სახოტნი.
 ღვაწლ-მოსილ მსახურთ შენთა დიდებულთ:
 ვირგილს, ჰორაციუსს, დანტეს, ჰომეროსს —
 გიჟების რიცხვში იხსენიებენ,
 როს იგონებენ შენს მეფობის დროს.
 განქრა, აღიგვა შენთ მსახურთ კრება,
 ძალა მიეცა შენს მტერთა მტრულ ჟინს:
 რომ შენს საქებად სიტყვა სიტყვას ვინმემ,
 ყოველი მხრიდან დასცხებენ კიჟინს.
 და ქნება ასე შენი დიდება,
 კრთება ბრწყინვალე შარავანდედი...
 შენს მსახურთ კრებას საუკულმართო
 და უმადური ეწვია ბედი.
 მწარნი სურათნი მიდგანან თვალწინ,
 ველარ ვიქარვებ მკვდარ გულში ჯავრებს:
 დაღვრებით ვხედავ სპეტაკ ღრუბლებში
 სახელგანთქმულებს შენს მამათმთავრებს.
 იქ ვხედავ რუსთველს, მცხეთის დიდ მთაზედ, —
 შეუქ-მფენ სახეზედ ფიქრნი ღელავენ;
 დასცქერს თავხედ ბავშვთ, ბინძურის ფეხით
 მის გონების განძს როგორ ჰქელავენ.
 გული უეკდება მას, აზრთა-მპყრობელს,
 რომ მისს ფიქრთ-ნაღვალს ეს დღე ეწვია,
 მთაზედ გამდგარა და თვისი ჩანგი
 წყრომით კლდის ცხვირზედ მიუღწვია.
 ნაღვლობს: რად შესწყდა აზრთ აღმაფრენა?
 რამ გამოსცვალა ან გვარად კაცი, —
 რომ აღარც ატკობს, აღარც ანაღვლებს
 მას ჰანგთა ჟღერა გულის წარბატაკი?!
 იქ ბარათაშვილს ვხედავ დაღვრემილ,
 მწუხარედ მდგომარს გამოქვაბულში...
 ჰოი, მთა წმინდა! შენს მკერდზე აღზრდილს,
 დიდებულ აჩრდილს კვლავ იკრავ გულში.
 შენის კლთიდან ის გადმოსცქერის
 ქალაქს გულზვიადს და გადიდებულს,
 სულით ობოლი, იგი გულს ეძებს,
 მაგრამ ვერ ჰპოვებს ის მასში კვლავ გულს.
 ვერ ხედავს გრძნობას აღმაფრთოვნებელს,
 გრძნობას ეროვნულს, ერის სიკეთეს;
 ხედავს მწარ-ნაყოფს, მალალ წოდების
 ბილწის ხელიდან ბილწად დანათესს:
 მისს სვავობისთვის უმეტესობას
 რომ ვერაფერი ვერ გაუწყვია,
 მისდამი ზიზღით თავისი თავიც,
 თვის „ქართველობაც“ უარ-უყვია.
 და ამისათვის დიდებულ მგოსანს
 გულში ზიზღსა ჰგვირის ბილწი წოდება
 და თუ ოდესმე მას ეკუთვნოდა,
 მით თავის თავიც კი ეცოდება...
 დანტე, ჰომეროს, ვირგილ, ჰორაცი,
 ტასო, მილტონი და ბაირონი —
 ერთხმად მოსთქვამენ პარანასის მთაზედ,
 რომ უკულმართად იცვალნენ დრონი.
 მაშ ვინ გაბედოს აწ შენი ტრფობა,
 ჰოი, პოეზია, ფეხით ნაქელო,

როცა შენს მსახურს მოელის მუდამ
 გზა ეკლოვანი და უნათელი?!
 მაგრამ არიან თავ-განწირულნი,
 საფრთხე გზის მძებნი, თვის უარ-მყოფნი;
 დაე უწოდოს ამ შენს ქვეშევრდომთ
 ხალხმა გიჟები და ავადმყოფნი!
 თუ შენს გვერდთ არა, ამ სოფელ-ქვეყნად
 არ მისცემია მათ სხვაგან ბინა
 და ვით სანთელი, ისე იგინიც
 წყნარად დნებიან შენ ფერხთა წინა.
 იმათ მუქარა უკუ ვერ აქცევს,
 მართლის არიან გამჩრევე-გამგები, —
 მეც მათ რიცხვში ვარ ერთი მათგანი
 და შენს სამსახურს დღესვე ვუდგები.

II

მაგრამ თუ სიტყვა დამიუძღურდეს
 და ხელმარჯვეთაც ვერ ვსცე ჩოვანი,
 შენ, რუსთაველო, ჩემს სუსტსა ღიღინს
 ხმა ტკბილად მოეც სამეფო ბანი.
 სიტყვა შემისე, შემიწყე ჰანგი,
 ტკბილ-სამუსიკო ენა მათხოვე
 და მოცარული დენა აზრისა
 დინჯ-სამდინაროდ გამიფართოვე, —
 რომ, ვით მორევი, ღრმა იყოს გრძობა
 და აზრი მკვეთრი, როგორც ფოლადი,
 ლექსი კი მკვირცხლი, სურათოვანი,
 ლექსი თამამი, ლექსი გულადი.
 დაე ჰანგები შეჯარდნენ მწყობრად,
 შეჯგუფდნენ შეთანხმდნენ ტბილ საჩუხჩუხოდ
 და გულის სიმზედ დარეკოს გრძობამ,
 რომ ხმა მოსთხოვოს აზრს საპასუხოდ,
 და ნაზი ხმები გულ-დამათრობლად
 მწყობრად განირთხნენ სოფელ-ქვეყნად,
 ძლიერს უჩვენონ აზრის დეათება,
 სუსტს მოველინონ ტანჯვით მხსნელ ნანად.
 და თუ ჩემს მწყობრ ხმებს უწოდოს ვინმემ
 შურის ძიებით სუსტი და ხამი, —
 შენ, ბაირონო, მომმადლე პედგრად
 შენი სასტიკი გესლი და შხამი,
 რომ ვით ცის რისხვა, ქექით და გრგვინვით
 თავზარ-დამცემად მტერს მოვევლინოთ,
 სატირის შხამად ვასვით ძირ-მწარე
 და დაბადების დღე ვაწყვევლინოთ.


III

მაგრამ ვგრძნობ კი, რომ ტყვილად შეგძარი
 წყნარ საფლავებში, ტკბილო მგოსნებო!...
 ჩემი საგანი სუსტია, ვით მე,
 ჩემებრ უძლური, სუსტ-საოცნებო.
 ეს ჩემი ხანა საფათერაკო
 გარდამავალი დრო და წამია.
 ჯერ ჩვენ ახალში ვერა ვსწევივართ
 და ძველს კი თვისი მოუქამია.
 ცხოვრება შფოთავს. — ძველ კალაპატში
 ველარ ახერხებს იგი დატევს,
 ნაპირთ უქადის დაქცევ-დაღწევას

და გულით ისერის კრულვას და წყვეტს
 სისხლის მორევი ჩაგუბდა ყვალგან
 ხალხთა ცხოვრებამ იცვალა ფერი,
 კაცს სურს ხელთ იგდოს კაცის უფლება.
 კისრით გადაიგდოს მძარცველი მტერი.
 მაგრამ ლელვის დროს მარგალიტებთან
 შლამ-ბალყსაც ზემოთ ჰყრის ოკეანე:
 ჩვენი ცხოვრებაც თვის სიავ-კარგით
 ამ ოკეანის დღეს არის მგვანე.
 მკვიდრი შვილი ვარ მეც ამ ცხოვრების
 და ეს არს სწორი მისი თავმდები,
 რომ რაც ის გვაძლევს, ამის აღწერას
 მე თავის თავად ვავეუქლოვდები
 მაშ განისვენეთ წყნარ საფლავებში,
 მგოსნებო შეველა ჯერ ირ მჭირია,
 როგორიც არის გმირი ამ დროის,
 ეს ჩემი ენაც ისე მწირია.
 როცა ფონს გავალთ და ვაქცატურად
 დინჯ-მოსაზრებით გავიტანთ ლელოს,
 მაშინ სხვა ჰანგით, სხვა ტბილის ლექსით,
 სხვა რიგ შევამკობ ჩემს საქართველოს.
 დღეს კი იმედი ისევ ორქოფობს,
 თითქო ვერ ვსაზრობ მე ჩემს ნებაზე:
 ვიცი, რომ ბევრი ყალყზე შედგება
 დღეს „საქართველოს“ ვახსენებაზე.
 მაგ' ამ ვის რა სურს, ისე იფიქროს:
 მართლის დამალვა მხდალის წესია,
 მე კი მას მოვმკავ, რასაც დაეთვსავ
 და ან რაც დღემდის დამითესია.
 სიტყვებს ავკინძავ, ზოგს სხვისას ვინმარ,
 ზოგს ახალ აზრებს ძველს მივაკოსებ
 და მით თავ-პირის საცემ-სატყუვად
 ძვალს გადავუდგებ ჩემს კრიტიკოსებს.

IV

მაგრამ შენ, შვილო ალბიონისა
 შენ, ბაირონო, მსურს გვერდით მყავდე;
 მე შენს ხერხს ვხმარობ ლექსთა ქსოვარში
 და ამისათვის არ გამიჯავრდე.
 მინდა შენებრ მეც ჩავხლართო ჰანგი,
 ვამკვირცხლ-ვაცელქო და ვაწკრილო,
 სრულად შევიპყრო ფიქრი მკითხველის
 და ჩემს ნებაზედ ვახეტიალო.
 მინდა იმ ჰანგში ჩავღვარო გრძობა
 დამპყრობ-დამთრობი, გულ-მომპარავი,
 მუსიკა მტკბარი, გამტაცებელი,
 მზიბლოვ გრძნეულის ძალის მფარავი.
 მინდა მეც შენებრ ვათრიო გესლიც,
 გესლი მშხამავი და სათახსირო,
 რომ მის შეთხვევით ცოცხლივ მოვსწამლო
 კაცისა გული, თუ კი ვავსწირო.
 ხან მინდა ლხენა ხმა წყობილ სიტყვით,
 ლხენა გულ-წრფელი სიცილ-ხარხარი;
 მსურს, რომ ბუნებას მეც დაეხაროდე,
 მყუდროობის დროს, ვით შენ დაჰხარი.
 და მაშინ, დაე, სიმებს გულისას
 შეეხოს აზრი ნაზად, ალერსით,



ამჩქევრდეს ენა მშვიდ-ნაკადულად,
 მღორედ, მიტკობით, მაქანკვით, კენესით;
 მეც მისალბუნოს გულის ჭრილობა,
 სხვებსაც დაუქროს ტკივილი გულის,
 შეიქნეს უკვდავ-უმრეტ სათავედ
 თანხმობის, ძმობის და სიყვარულის.
 და-ხან კი, დაე, შეშფოთდეს მედგრად,
 ძალა იცვალოს, შხამ-ბრაზი ჰყაროს,
 იქცეს გესლ-კუპრად, —ნადღველ-ამსალად
 ზედ დაეთხიოს მყის ამ სამყაროს
 ამცნოს ხალხს სოფლის სიყალბ-სიფუჭე,
 ცხოვრების ბრძობა და უსაგნობა,
 რომ კაცს უღრღნიდეს გულს, როგორც ქია,
 სიცოცხლისადმი ზიზღი და გმობა.
 შენებრ მსურს, შენებრ მტერთა დაბასრვა;
 ხან გაშხამება, ხან თაფლად ქცევა,
 ხან წრუველის ლოცვით ცამდე აღმართვა,
 ხან ჯოჯოხეთის შხამ-ბრაზის თრევა.
 მაგრამ, ეჰ, ვცდები, მგოსანო, ფიქრში!
 შენ სხვა ვინმე ხარ და მე კი სულ სხვა:
 ვინ გაასწოროს ერთმანეთ შორის
 მცირე მორევი და უფსკრული ზღვა?!
 რა დიდებულმა ხალხმა გშობა შენ,
 მის შესაფერი შენცა ხარ გმირი;
 მე კი... მე გავჩნდი სულთ მობრძავე ერთი
 და ვით ეს ერი, ისე ვარ მწირი.
 თუმცა კი ძალ-მძის ვსთქვა უშიშარად:
 მეც შენს ადგილას სხვა ვიქნებოდი,
 რომ ხელი ეწყო გარემოებას,
 იქნებ მეც გვერდით მოგიდგებოდი.

V

მაგრამ კვლავ ავსციდი ჩემს მთავარ საგანს:
 მოთხრობის გმირი ვპოვო მწაღია—
 და ვერ მიწახავს, თუმცა კი ვეძებ
 ეს რამდენიმე წელიწადია.
 ორგვარი კაცი შექმნა ცხოვრებამ:
 ერთი სულ ჰგოდებს თვის ქვეყნის ბედზედ,
 დადის დაღვრებით, თითქო მსოფლიოს
 ვარამი მარტო მას აწვეს ქედზედ.
 დღეის დღის მგმობი, მხოლოდ წარსულში
 ამგზავრებს იგი თავის გონებას
 და იქ რომ ცუდიც რამე უჩვენო,
 იგი არ მოგცემს შენ ამის ნებას.
 წარსულიც ესმის თავისებურად:
 იგი არ იკვლევს მსოფლიო წარსულს,
 დიდ ერთ ცხოვრების დიდი განვლილი
 არ ასაზრდოებს მისს აზრსა და სულს.
 იგი აქ ცხოვრობს, წვრილ ერთ განვლილში,
 აქ ჩიჩქნის საწყლად წარსულის ნაგავს
 და თუ ბრწყინვალე იქ ვერა ჰპოვა,
 ბრწყინავ ზოლებით ნაგავსვე ჰქარგავს.
 ამით ამყობს და მდიდურობს,
 სამშობლოს მხსნელად იგი თავსა სთვლის
 და ამ სახელის ფარდით ფარული,
 ვიზედაც ჰგოდებს, იმავ ხალხსა სთლის.

საფარისეგლო ცრემლს ღვრის მამულზედ
 ყალბის სიტყვებით ხალხს ნდობას ჰპირდება
 თავის გონების სიგლახ-სისუსტეს
 „მამულიშვილის“ სახელით ჰფარავს.
 და შენ რომ ამ დროს ამხილო იგი,
 სიტყვა მი უჭრა და შეაყენო,
 უცბად შეწყვირებს: „ჰოი სამშობლოვ,
 ხომ ხედავ შენთვის მაწამებენო!“
 ბევრი ბანს მისცემს და ცრემლს მოსწმენდს მას,
 ბევრი გაგაკიბავს მკაცრად და ავად
 და ჩაითვლები სიმართლის მკვლევი
 „ქვეყნის გამცემად და გამყიდავად!“

VI

ჰოი, სამშობლოვ! ამ გვარ კაცთაკან
 დევნა მეც კი ხომ ხშირად მწვევია!
 ჩემს ქარიშხლიან ქაბუკობის დროს
 მათგან ცრემლები მეც მითხევია.
 ხშირად ჩამქრალა ჩათუთქულ გულში
 ამ ჩემი ხალხის ხალხობის რწმენა
 და სამეტყველოდ გამაზადებული
 დამმუნჯებია საბრალო ენა!
 მიფიქრებია, რომ ჩემს ბედკრულს ერს
 მოუქამია თვის დრო და ვალი
 და დღეს დაცემულს სულით და ხორციით
 მას აღარ ელის აწ მომავალი.
 ჩამკვდარა გულში ყველა იმედი,
 რა განმინილავს შენთ შვილთ ავობა
 და შენს მომავლის არარაობით
 ჩემიც მიგრძენია არარაობა.

VII

მამულიშვილის ტბილი სახელი
 შეგვძაგებია, შექმნილა ყალბად:
 ამ წმინდა სახელს ჰირადი საქმის
 მისაღწევნელად ირქმევენ ალბად.
 იმ დიად სახელს ურჩად ვუცქერით,
 რით ვსახელობდით და რაც გვიყვარდა:
 დღეს ავაზაკთა გუნდებს იფარავს
 „მამულიშვილის“ სახელის ფარდა.
 გინდ კაცი მოჰკალ, გინდ ძმა გაძარცვე,
 ძალად ახადე თუნდ ნამუსი ქალს,—
 ოლონდ იყვირე: „ჰოი, სამშობლოვ თქო!“
 ბევრი შენს ცოდვას აარიდებს თვალს.
 დვაწლად ჩავთვლის შენს თვალთმაქცობას,
 წაებულად გრაცხს და შვილს გიწოდებს,
 ველარ შეგამჩნევს შუბლზე ცოდვის კვალს,
 კაცად ჩავადებს და შეგიცოდებს...
 ჰოი, სამშობლოვ! ამ გვარნი შვილნი
 მრავალ-ჭირ-ნახულს გარტყა ხშირად
 და ამისათვის ვამბობ მე უარს,
 რომ ჩავითვლო „მამულიშვილად!“

გახვლია.

(შემდეგი იქნება)

ა ვ ტ ო მ ი ა

(პროფ. ნ. ი. ლაზარესისა.)

არის ერთი სოფიზმი, რომელიც ძველადვე იყო ცნობილი და რომელსაც „ბელატის სოფიზმი“ ჰქვია. ამ სოფიზმს ი დასკვნა გამოჰყავს, რომ დედამიწაზე ყველა ადამიანი ბელატია, ან არაფერ არ არის ბელატი. მართლაც, წარმოვიდგინოთ, რომ კარგ თმების პატრონს ერთი ბეწვი თმა დააკლდა; ამის გამო იგი არ გაბელატდება, არ გაბელატდება, მაშინაც, თუ მეორე ბეწვი ჩამოეცალა, ან კიდევ მესამე, მეოთხე და ამნაირად, სანამ მთელი თავი არ მოეტიტვლება ჩვენ ვერ დავასახელებთ იმ ბეწვს, რომლის დაკარგვის შემდეგ ამ ადამიანს ბელატი უნდა დავრქვას.

წარმოვიდგინოთ, მეორის მხრივ, ბელატი ადამიანი, რომელსაც თან და თან თითო თითო თმა ემატება თავზე. აქაც ჩვენ ვერ დავასახელებთ იმ ბეწვს, რომლის მომატების შემდეგ ეს ადამიანი აღარ იქმნება ბელატი. ამნაირად მას ბელატს დავუძახებთ მაშინაც კი, როცა მისი თავი თმებით დაფარული იქმნება.

ასეთი სოფიზმი გამოსაყენებელია იქ, სადაც ამა თუ იმ თვისებას ვაკუთვნებთ ისეთ რასმე, რაც თავის სივრცით ან რაოდენობით განსაზღვრული არ არის (გროვა, სიმდიდრე და სხვ.).

ასეთსავე სოფიზმს შესაძლოდ ხდის სიტყვა „ავტონომია“. ჩვენს საზოგადოებას და განსაკუთრებით მის უფრო განათლებულ ნაწილს გაუგონია, რომ მეცნიერებასა და კანონებისა ცნობილ სახელმწიფო წესწყობილების შემდეგი სხვა და სხვა ცნება არსებობს: თვითმმართველი ერთეული, ავტონომიური პროვინცია, ცალკე სახელმწიფო, როგორც შეკავშირებულ სახელმწიფოს ნაწილი (მაგ., კანტონი შვეიცარიაში, ან ბავარია გერმანიაში) და ერთმანეთში შეკავშირებული სახელმწიფოები (ავსტრია და უნგრეთი).

ყველამ აკრთვე იცის, რომ აქ დასახელებულ წყობილებებში ხალხი თანასწორად დამოუკიდებელი არ არის, მაგრამ უმეტესობისთვის სრულიად გაუგებარია, თუ რითი განსხვავდებიან ერთმანეთში ეს წყობილებები.

ბევრმა, შეიძლება, იფიქროს, რომ ერთხელვე თუ დავადექით დათმობას ან ადგილობრივ თავისუფლების გზას, შემდეგ თანდათან ჩამოვაცლით ცენტრალურ მთავრობას თითო თითოდ მის უფლება—უპირატესობას და ვერც შევამჩნევთ იმ ბეწვს, რომლის დაკარგვით თმისი თავი გაბელატდება.

მაგრამ საკუთარ სრულ უფიციობას ამქადენებს ის ადამიანი, რომელსაც ჰგონია, რომ ამა თუ იმ პროვინციისთვის ავტონომიის მომთხოვნებს სურთ ისეთი რამე, რასაც შეუძლია თანდათან და შეუძნეველად ეს პროვინცია ისეთსავე მდგომარეობაში ჩააყენოს, როგორშია ადამიანის უფლებების ს შესახებ.

მართლაც, ავტონომიური პროვინცია ერთის მხრივ გარკვეულად განესაზღვრება თვითმმართველობას და მეორის მხრივ სრულებით არა ჰგავს ე. წ. „შეკავშირებულ სახელმწიფოს“ შემადგენელს დამოუკიდებელ სახელმწიფოს, როგორც არის: შვეიცარიის რესპუბლიკის შემადგენელი კანტონები, გერმანიის შემადგენელი ცალკე სახელმწიფოები (ბავარია, პრუსია და სხვ.) ან შეერთებულ შტატების შემადგენელი ჩრდილო ამერიკის შტატები.

ავტონომია იმით განესხვავება თვითმმართველობას, რომ ავტონომია, რომელიც თვითმმართველობასავით ადგილობრივ მართვა-გამგეობაში განსაზღვრულ თავისუფლების გა-

მომხატველია, — სახელმწიფო ცხოვრების უფრო მეტ დარღვეება, ვიდრე თვითმმართველობა. თვითმმართველობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ საქმეებში ადგილობრივ დაწესებულებას განსაზღვრულ და ერთნაირ დამოუკიდებლობას. ავტონომია კი ესება, ადმინისტრაციის გარდა, აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებათაგან საკანონმდებლო მოქმედებასაც.

ავტონომიურ პროვინციის საკანონმდებლო უფლებებით აიხსნება დანარჩენი განსხვავება, რომელიც ავტონომიის და თვითმმართველობას აშორებს. თვითმმართველ დაწესებულებათა მთელი მოქმედება სახელმწიფოში არსებულ კანონებით განსაზღვრულია, ავტონომიურ დაწესებულებათ კი სხვა და სხვა წინდაწინვე ჩამოთვლილ შემთხვევებში უფლება ეძლევათ თვითონ გამოსცენ ისეთი განკარგულება, რომელიც საერთო კანონების მიერ შემოღებულ წესებს განერჩევა. საერთო კანონმდებლობით, მაგ., შეიძლება სამი წლის სავალდებულო სწავლა იყოს შეუძლებელი დაბალ სასწავლებლებში, — ავტონომიურ პროვინციას კი, — სწავლა განათლების საქმე საერთო კანონმდებლობით მას თუ აქვს გადაცემული, — შეუძლია ორი ან ოთხი წლის სწავლა გახადოს სავალდებულო.

ამა თუ იმ საკითხების შესახებ კანონმდებლობის უფლება, რომელიც ადგილობრივად საერთო კანონმდებლობის მაგიერობას ეწვევა, — იმ ეს არის ის უმთავრესი თვისება. რომელიც ერთმანეთისაგან განსაზღვრავს თვითმმართველობას და ავტონომიას.

აქედან აშკარად ჩანს, რომ შეცდომა იქმნება, თუ ავტონომიური პროვინცია მხოლოდ მსხვილ თვითმმართველ ერთეულად წარმოვიდგინებთ. პოლონეთში, მაგ., ყოველ გუბერნიის სერობო თვითმმართველობა თუ შემოიღეს, — ეს წყობილება ისევ თვითმმართველობად დარჩება იმ შემთხვევაშიაც, ყველა ათ გუბერნიისთვის იქ საერთო თვითმმართველი სემი, საერთო კრებულის უფლებათა მქონე, თუ დაამწყესს. ადვილი წარმოსადგენია ერობა, რომელიც ერთ გუბერნიაზე მეტ ტერიტორიას შეიცავს, ერობა, რომელსაც მხოლოდ უბრალო თვითმმართველობის უფლებები ექმნება მინიჭებული, ე. ი. მხოლოდ ადმინისტრაციის შესახები თავისუფლება; მეორის მხრივ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ისეთი წყობილება, რომელიც ერთ გუბერნიის წარმომადგენლებს ავტონომიის უფლებას მისცემს, — თუმცა ასეთ წყობილების განხორციელება სასარგებლო არ უნდა გამოდგეს.

განსაზღვრული საკანონმდებლო უფლება ავტონომიის უმთავრესი დამახასიათებელია ქვეყიდან, იგი ავტონომიას აშორებს უბრალო თვითმმართველობას.

ადგილობრივ კანონმდებლობის უფლება, რომელიც ავტონომიურ პროვინციებს აქვთ არა ჰგავს იმ უფლებას, რომელიც ზოგიერთ თვითმმართველ ერთეულებს აქვს მინიჭებული და ადგილობრივ სავალდებულო დადგენილების გამოცემაში გამოიხატება. თვით მმართველობისა და ავტონომიური კანონი გარეგნად ერთმანეთს წააგავს იმით, რომ ორივეს საზოგადო ხასიათი აქვს და ორივე გამოცემულია არა ცენტრალურ საკანონმდებლო კრებულის მიერ, მაგრამ მათში განსხვავებაც დიდია.

სავალდებულო დადგენილებას, მაგ., ერობათა და ქალაქების სავალდებულო დადგენილებას, ადმინისტრაციული ხასიათი აქვს და ამიტომ ეს დადგენილება სავსებით უნდა ეთანხმებოდეს არსებულ კანონებს, — ავტონომიური კანონმდებლობა კი, იმ საზღვრებში, რომელიც მას აქვს გადაცემული, სრულებით ყურადღებას არ აქცევს იმას, არსებობს ამა თუ

იმ შემთხვევის შესახებ საერთო კანონმდებლობის რამე დადგენილება, თუ არა.

ამაინაირად, ამა თუ იმ საკითხში თვითმმართველ ერთეულს თუ შეუძლია სავალდებულო დადგენილება გამოსცეს, — სხვა-ლა ის გადაწყვეტილება, რომელიც ამავე საკითხის შესახებ კანონებში არსებობს, — თავის მნიშვნელობას არ ჰკარგავს, რადგანაც თვითმმართველ ერთეულის სავალდებულო დადგენილებას კანონების შეცვლა არ შეუძლია ავტონომიურ პროვინციაში კი საერთო კანონმდებლობის გადაწყვეტილებას მხოლოდ მანამ აქვს ძალა, სანამ ეს პროვინცია თავის ავტონომიურ საკანონმდებლო უფლებით არ ისარგებლებს და ხსენებულ საკითხის შესახებ რამე ადგილობრივ კანონებს არ შეიმუშავებს.

ავტონომიურ პროვინციებზე მეტი თავისუფლება აქვს სახელმწიფოს, და ავტონომიისთან უფრო ახლო სდგანან ის სახელმწიფოები, რომლებიც ე. წ. „შეკავშირებულ სახელმწიფოს“ ნაწილებად არიან. ასეთია, მაგ., ბავარია, საქსონია, პრუსსია და გერმანიის შემადგენელი სხვა სახელმწიფოები, შვეიცარიის კანტონები, ჩრდილო-ამერიკის შტატები.

ასეთი სახელმწიფოები*) განესხვავებიან ავტონომიურ პროვინციებს იმით, რომ მათ თავისი საკუთარი უფლებები აქვთ, ავტონომიურ პროვინციას კი საკუთარი უფლება ვერ ექმნება.

ამ აზრის გამოსარკვევად მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი: გერმანიის შემადგენელ სახელმწიფოებში ზოგიერთ საქმეს განაგებენ საერთო მოხელეები საერთო კანონების მიხედვით. აგრეთვე კანტონებშიც ზოგიერთ შემთხვევაში მოქმედობს შვეიცარიის საერთო კანონები და ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებშიც ხშირად საერთო მთავრობის მოხელე და კანონები განაგებენ საქმეებს. ზოგიერთ შემთხვევაში ყველა ამ სახელმწიფოების (ე. ი. გერმანიის ცალკე სახელმწიფოების, კანტონებისა და შტატების) ადგილობრივ დაწესებულებათა მოქმედებას საერთო მთავრობა თვალ-ყურს ადევნებს. მაგრამ ასეთი საქმეში გარევა და თვალ-ყურის დევნა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში და მართლა-გამგებობის იმ დარგებში, რომელიც სახელმწიფო ჩამოთვლილია კონსტიტუციაში, და რომელიც ამ კონსტიტუციის ძალით ცენტრალურ მთავრობას აქვს დავალებული.

ყველაფერი, რაც საერთო მთავრობას არ აქვს გადაცემული, ე. ი. ყველაფერი, რაც ერთმანეთში შეკავშირებულმა სახელმწიფოებმა თავისთვის დაიტოვეს, მათს სრულ გამოებაშია. ყოველ ასეთ შემადგენელ სახელმწიფოს (კანტონისა და შტატის) წესწყობილება ამ სახელმწიფოს, კანტონისა თუ შტატის საკუთარ კონსტიტუციაზე არის დამყარებული.

*) ჩვენ აქ ყურადღებას ვაქცევთ მხოლოდ იმას, რითი განესხვავება ავტონომიური პროვინცია ასეთ სახელმწიფოებს, რადგანაც ეს ორი ცნება ერთმანეთს წააგავს და მათი ერთმანეთში არევა შესაძლო არის. დამოუკიდებლობის უფრო მაღალი საფეხურები რომ ავიღოთ და ავტონომიურ პროვინციას შევადაროთ ისეთი სახელმწიფო, რომელიც სხვა სახელმწიფოსთან რეალ უნით არი. შეერთებული იქ და აშარაკი არ შეიძლება იმაზე, განესხვავება იგი ავტონომიურ პროვინციას, თუ არა. რეალ უნით შეერთებული სახელმწიფოები, მაგ., ავსტრია და უნგრეთი, საერთაშორისო ხელშეკრულებით შეერთებული ორი სახელმწიფოა, რომელთაც ამ ხელშეკრულების ძალით საერთო ხელმწიფე ჰყავთ, — მაგრამ ამასთან ორივეს ხელუხლებლად ურჩება ნაიი სრულ-უფლებიანობა, სუვერენიტეტი. ყველა საქმეში ავსტრია და უნგრეთი თანასწორ უფლებიანნი, დამოუკიდებელი და თავისუფლი არიან. ორივე სახელმწიფოში სახელმწიფო წესწყობილებას განსაზღვრავს საკუთარი კანონები, რომელთაც რეკავშირე სახელმწიფო ვერ გაერევა.

ბული. შინაურ მართვა-გამგებობის და კანონმდებლობის საქმეებში, — იმ საქმეებს გარდა, რომელიც გარკვეულად დაწესებულია ცენტრალურ მთავრობას, — ყოველი შემადგენელი სახელმწიფო დამოუკიდებლად მოქმედობს აქასეთ სახელმწიფოში სხვა და სხვა დაწესებულებათა ყოველი მოქმედება სრულიად თავისუფალია ცენტრალურ მთავრობისაგან, რომელსაც არ შეუძლია ჩაერიოს საქმეში, კანტონი უყოს ადგილობრივ დაწესებულებათ ან თვალ-ყური ადევნოს მათ.

ამაინაირად ყოველ ასეთ სახელმწიფოს, რომელიც შეიძლება ზოგიერთ საქმეში საერთო, უმაღლეს, ცენტრალურ მთავრობაზედ იყოს დამოკიდებული, აქვს ისეთი კუთხე, ისეთი საქმეები, სადაც ეს სახელმწიფო (კანტონი, ან შტატი) სრული ბატონია. მასვე ეკითხება სხვათა შორის თვით მისი სახელმწიფო წესწყობილება.

ეს აზრი გარკვევით არის გამოთქმული ზოგიერთ შეკავშირებულ სახელმწიფოს კონსტიტუციაში*) მაგრამ იმ შეკავშირებულ სახელმწიფოებშიაც, სადაც კონსტიტუცია ასე გარკვეულად არ აცხადებს, რომ ცალკე, მისი შემადგენელი სახელმწიფოები სრულიად თავისუფალი რჩებიან იმ საქმეებში, რომელიც საერთო მთავრობაზე გადაცემული არ არის, — ეს აზრი მაინც ნათლად სჩანს, რადგანაც ცენტრალურ მთავრობის საკანონმდებლო და ყველა სხვა უფლება სათითაოდ ჩამოთვლილია ხოლმე, ადგილობრივ სახელმწიფო დაწესებულებათა უფლებები კი ასე სათითაოდ ჩამოთვლილი არ არის.

სულ სხვა მდგომარეობაშია ავტონომიური პროვინციები. ავიღოთ რომელიმე მხარე, რომელსაც ფართო ავტონომია აქვს მინიჭებული, მაგ. კანადა, — მისი წესწყობილება განსაზღვრულია კონსტიტუციით, რომელიც თვითონ წარმოადგენს ინგლისის და არა კანადის კანონს. იგი ინგლისის პარლამენტისაგან არის გამოცემული, — ინგლისის კანონმდებელს ყოველთვის შეუძლია შესცვალოს ან სრულებით მოსპოს ეს კანონი კანადის დაუკითხავად. ამაინაირად ავტონომიურ მხარეს წესწყობილება, მის დაწესებულებათა უფლებები და კომპეტენცია განსაზღვრება არა ადგილობრივ კანონებით, არამედ ცენტრალურ მთავრობის გადაწყვეტილებით.

ამ გადაწყვეტილებით ცენტრალური მთავრობა ამა თუ იმ უფლებას ავტონომიურ პროვინციას და მის სხვა და სხვა დაწესებულებას ანიჭებს. ავტონომიურ პროვინციას არ შეუძლია იქონიოს რამე ისეთი უფლება, რომელიც ცენტრალურ მთავრობისაგან გამოცემული არა აქვს და ეს უფლებებიც მას სრულ საკუთრებად მიცემული როდი აქვს. ცენტრალურ მთავრობას შეუძლია დაიბრუნოს ეს უფლებები; ავტონომიური პროვინცია განახორციელებს მხოლოდ იმ უფლებებს, რომელიც სხვისგან მიღებული აქვს, რასაც ამტკიცებს ის გარემოება, რომ ცენტრალური მთავრობა მის მოქმედებას მუდმივად თვალ-ყურს ადევნებს. ავტონომიურ პროვინციას ვერ ექმნება ისეთი უფლება, რომელიც ამ კანტონისგან თავისუფალი იყოს.

ყოველ კანტონს, როგორც ჩვენ დავინახავთ, ისეთი უფლებები აქვს, რომელსაც ცენტრალური მთავრობა ვერ

*) მაგ. შეერთებულ შტატების კონსტიტუციაში სწერია: „ყველა ის უფლება, რომელიც ამ კონსტიტუციის ძალით შეერთებულ შტატების საერთო მთავრობას დავალებული არა აქვს ცალკე შტატებს, — ამ შტატებს და ხალხსა უნდა დაიცვას“ — შვეიცარიის 1874 წ. კონსტიტუციის 3 მუხლში სწერია: „კანტონები სრულ უფლებიანები იმდენად არიან, რამდენადაც მათი სუვერენიტეტი არ არის შეზღუდული საერთო კონსტიტუციით და ამიტომ მათ ეკუთვნის ყველა ის უფლება, რომელიც საერთო მთავრობაზე გადაცემული არ არის.“

წართმევს და რომლის განხორციელებას ეს მთავრობა თვალ-
ყურსაც ვერ აღევნებს.

ავტონომიურ პროვინციას კი მხოლოდ ისეთი უფლებე-
ბი აქვს, რომლის ჩამორთმევა ცენტრალურ მთავრობას საჭი-
როდ არ მიაჩნია. სახელმწიფოს რომელიმე კუთხეს ისეთი
უფლებები რომ ჰქონდეს, რომელიც ხელუხლებელია ცენ-
ტრალურ მთავრობისათვის, მაშინ ეს კუთხე ავტონომიურ
პროვინციას კი არ წარმოადგენდა, არამედ ცალკე სახელმ-
წიფოს. და ავტონომიური პროვინცია თვით ამ სხვისგან მი-
ღებულ უფლებების განხორციელებაშიაც ექვემდებარება ცენ-
ტრალურ მთავრობის კონტროლს იმდენად, რამდენადც ეს
კონტროლი თვით ცენტრალურ მთავრობას საჭიროდ მიაჩნია.

ამაირად, ავტონომია განესხვავება ერთის მხრივ თვით-
მმართველობას და მეორის მხრივ შეკავშირებულ სახელმწი-
ფოს შემადგენელ სახელმწიფოსაც.

თვითმმართველობა მხოლოდ ადგილობრივ ადმინისტრა-
ტიულ მოქმედებას ეხება, ავტონომია კი ისეთ უფლებებს
შეიცავს, რომლებშიაც შედის კანონმდებლობაც.

მეორის მხრივ ყოველ სახელმწიფოს, თვით სხვა სა-
ხელმწიფოს შემადგენელსაც, აქვს თავისი საკუთარი უფლე-
ბები, რომელიც მას არავისგან არ მიუღია და რომლის გან-
ხორციელებაში იგი არავის ზედამხედველობასა და კონტ-
როლს არ ექვემდებარება. ავტონომიური მხარე კი თავის უფ-
ლებებს იღებს ცენტრალურ მთავრობისგან, ამ უფლებების შე-
ცვლა შეუძლია ცენტრალურ მთავრობას თავის ნებით, მის
დაუკითხავად და იგივე ცენტრალური მთავრობა თვალყურს
აღევნებს ამ უფლებების განხორციელებას.

ამ საზღვრებში შეიძლება სხვა და სხვა ნაირი ავტონო-
მია წარმოვიდგინოთ იმის მიხედვით, თუ რამდენი საქმე აქვთ
მინდობილი ადგილობრივ დაწესებულებებს და რამდენი თავი-
სუფლება აქვთ მათ მინიჭებული.

ავტონომიურ პროვინციას საზოგადოდ მხოლოდ ისეთი
საქმეები ექვემდებარება, რომელსაც ადგილობრივი ხასიათი
აქვს. ამიტომ ადგილობრივ კანონმდებლობის გარეშ რჩება
საბაჟოები, ფოსტა, ტელეგრაფი და რკინის გზები. ზოგიერთი
საქმე იმდენად განშორებულია ადგილობრივ ინტერესებს,
რომ არავის აზრადაც არ მოუვა ისინი ავტონომიურ ადგი-
ლობრივ დაწესებულებებს დაუშორჩილოს. ასეთია საერთაშო-
რისო საქმეები, სახელმწიფოს ჯარების მოწყობა, ჯარების თუ
ფლოტის უფროსობა და სხ.

ამაირად, ვისაც ამა თუ იმ პროვინციისთვის უნდა
ავტონომია, იმას აზრადაც არა აქვს, რომ ცენტრალურ მთავ-
რობას რამე ძირითადი უფლებები ჩამოაყალიბოს.

სახელმწიფოს რომელიმე ნაწილს ავტონომია თუ მიე-
ნიჭა, ეს მხარე ამის გამო ცენტრალურ მთავრობის სწორი
ან მისგან დამოუკიდებელი ვერ შეიქმნება. ცენტრალურ მთავ-
რობისგან ყველა უფლებების მიმღებ ავტონომიურ პროვინ-
ციის მდგომარეობა იმდენად განესხვავება იმ სახელმწიფოს
მდგომარეობას, რომელმაც საერთო შეკავშირებულ სახელ-
მწიფოში ცენტრალურ მთავრობას ზოგიერთი უფლება გადა-
სცა და რომელიც სხვა საქმეებში სრული დამოუკიდებელი
რჩება,—რომ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, ვითომც ერ-
თის მდგომარეობა შეუქმნევდოდ მეორის მდგომარეობად
შეიცვლებოდეს

შეცდარია ის აზრიც, ვითომც ამა თუ იმ პროვინციის-
თვის ავტონომიის მინიჭებით ცენტრალურ მთავრობას ეკარ-
გებოდეს ყველა ის უფლება და უპირატესობა, რომელიც
მთელ სახელმწიფოსთვის საჭიროა; სახელმწიფოს უმაღლესი

მთავრობა ავტონომიურ პროვინციებზე ზოგიერთ უფლებე-
ბის გადატანით უთმობს მათ ყველა იმ საქმეს, რომლისა-
ც ადგილობრივ დაწესებულებათაგან ასრულება უფრო სასურვე-
ლი ჰგონია. არ შეიძლება ვიფიქროთ ისიც, რომ ერთ დროს
უმნიშვნელოდ მიჩნეული უფლება, მერე მნიშვნელოვანი გა-
მოადგეს საერთო მთავრობისთვის და ავტონომიურ ერთეუ-
ლებზე გადაცემული კი დარჩეს. ცენტრალურმა მთავრობამ ავ-
ტონომიურ პროვინციებისაგან რომელიმე უფლებების დაბ-
რუნება თუ მოისურვა, —კანონის მხრივ ამაში მას არაფერი
არ დააბრკოლებს.

ამაირად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცოტადნად მინც
გამოვარკვიეთ, თუ რა არის ავტონომია. ავტონომია ად-
გილობრივ სახელმწიფო მართვა-გამგეობის ისეთი სისტემა
არის, რომელიც ადგილობრივ დაწესებულებებს. თვითმმართვე-
ლობის გარდა, კანონმდებლობის უფლებასაც ანიჭებს, მხო-
ლოდ ამ უფლებების სივრცეს სასესებით ისაკუთრებს ცენტრ-
ალური მთავრობა, რომელიც შემდეგაც ამ უფლებების პატ-
რონად რჩება და ამიტომ მაზედვე არის დამოკიდებული შემ-
დეგში ავტონომიურ დაწესებულებათა ამ უფლებების შეზღუ-
დვა ან გაფართოვება და თვით ამ დაწესებულებათა მოქმე-
დების თვალ-ყურის ღვეწაც.

ა ღ ბ ი ლ ი

(კ. ტამაგვასკისა)


(დასასრული, იხ. „ივერია“ № 23).

აზინდებული იყო, როცა რუბანოვსკი მიეშურებოდა
თავის სახლისკენ. მას თან მიჰყვებოდა მეგობარიც. მთელი
ქალაქი უსიტყვოდ გაიარეს, —ორივეს ეტყობოდა მლეღვარება.
რუბანოვსკის მუდამ თვალ წინ ედგა თავის ოთახის სიბინ-
ძურე და ერთი ორად ემატებოდა ნაღველი. ორივეს ლუს-
მანივით ჩარქობოდათ გულში ადგილის შოგნა იზიუმოვის
ფაბრიკაში რუბანოვსკის ამის მოგონება ახრჩობდა და უშ-
ლიდა ლაპარაკს. სერგეევიც გრძნობდა რომ მეგობართან
ბასი ეხლა სხვა საგანზე შეუძლებელი იყო, ვიდრე არ გადა-
წყტლებოდა ეს გულ-საკლავი საკითხი. ის თავის თავს დამნა-
შავედ სთვლიდა და ამის გამო ვერ ისვენებდა.

ისინი უსიტყვოდ შევიდნენ ნომრებში. ერთბაშად ეცათ
საზარელი სუნის ოთახებიდან; იქვე ფეხშიშველა დედაკაცი
ლანძღავდა ვიღაცას, სადღაც ოთახიდან მოისმოდა სიმღერა
და უცნაური ხმები.

— შენ აქ პატარა ხანს დამიცადე, ვიდრე ცოლს შევა-
ტყობინებ, უთხრა რუბანოვსკიმ მეგობარს და თან გააღო
ოთახის კარები.

სერგეევი კარგა ხანს ელოდა, მერე დაუძახეს ოთახში
მეგრამ... რა ნახა! რა ოთახი იყო! გვეგონებოდათ, ეხლა აპი-
რობენ აბარგებასო, ისე იყო არეული იქაურობა. კარების
მარცხნივ ჩამოფარებული იყო პატარა კუთხე ბავშვების დასა-
ძინებლად. ორ პაწაწა ფანჯარაში ოდნავ შემოდიოდა სინა-
თლე. გახუნებულ სავარძელში იჯდა რუბანოვსკის ცოლი.
სახეზედვე ეტყობოდა უდროვოდ დაბერება. საბრალო ავად-
მყოფი ახლო მისჯდომოდა სანათს და ცდილობდა საკე-
რავის გათავებას თავის გაღეულ თითებით. სერგეევის და-
ნახვაზე წამოიწია, ხელი გაუწოდა და ოდნავ ღიმილით
უთავაზა სკამი. ერთ ხანს ყველანი ჩუმად იყვნენ. რუბანოვსკი
მიმდგარიყო კუთხეში და ისე გამოიყურებოდა, თითქოს უნდა
ეთქვა: —აქ სიტყვები მეტია, შენც ხედავ, რა დღეში ვართო.



თვითონ დიასახლისსაც ეტყობოდა, რომ უკვე გაგებულნი ჰქონდა ყველაფერი. აღმიანი რომ დაჰკვირვებოდა მისი სახის გამომეტყველებას, ადვილად შეატყობდა, რა მძულვარება იხატებოდა მასში სერგეევის მიმართ. ამან უარესად შეაწუხა სერგეევი.

— ხედავ? მიუთითა რუბანოვსკიმ თავის ცოლზე, ხედავ? როგორია?

— მე შენ კოველითინ გეუბნებოდი, სჯობდა არ შეგერთე, — უხარბა მას ცოლმა, — ისედაც ძნელია ცხოვრება, არამც თუ ავადმყოფი ცოლიც გყავდეს შესანახი. თუ ცოლის შერთვა, კაცმა ისეთი ჯანი-სალი ქალი უნდა შეირთოს, რომ თავის შრომით მან შეიღებოს არჩინოს და ოჯახიც შეინახოს, ჩემისთანა-კი მეტ ბარგად ხდება.

— ხედავ, მეგობარო ჩვენი აღზრდის ნამდვილ ნიმუშს? ასწავლიან, ასწავლიან ათასგვარ მეცნიერებას, უღვევენ ჯანს, უშლიან ძარღვებს, აძლევენ მედალს და აი ეხლა ეს შენი მედლიანი, ხედავ, რა მღვდლობრობაშია!..

— შენ, ძმაო, ძალიანაც ნუ ჰგობ სწავლა-განათლებას, მიუგო სერგეევი მარტო სიტყვის მასალად.

— ჯერ მე ლუკმა პური მინდა, თითქმის დაუყვირა რუბანოვსკიმ... ყოველი ცოდნა, პრანქვა და გრება სულ სისულელეა ლუკმა პურთან. ბევრჯერ წყლის მზიდავის ყოფაცხოვრებაც კი შემნატრებია. ახლა ეს — მიუთითა თავის ცოლზე — დღიურ მუშაზე უბედურია. ჩვენზე უნუგეშო ეხლა არავინ იქნება. ოჰ, რა სიხარულით მივცემდი ჩემს დიპლომს, მედალს, გადაცემდი ჩემს ცოდნას, ოღონდ ჯანი დაპბრუნებოდა ამას!

— დაიცა... უბასუხა სერგეევი, მაგრამ რუბანოვსკიმ სიტყვა გააწვეტინა და განაგრძო:

— ჯერ ერთი, ეს რომ კარგად ყოფილიყო, მე ადგილს თავს არ დავანებებდი, და მეორეც... მაგრამ რა ვთქვა, გული ბოლმით მეცხება. იფიქრე, მარტო წამლებზე და ექიმებზე რამდენი დიასახლა, ძიძების ამბავს წულარ მკითხავ. ამის გარდა თითონ საწყალი ქალი ზის და გრძნობს თავის უღონობას, იმ დროს, როცა საჭიროა ძალი ფიზიკური და სულიერიც. რუბანოვსკის ცოლმა უფრო დაბლა დაჰხარა თავი. სერგეევი შეამჩნია თვალეში მორყული ცრემლები.

— ბავშვები ხომ კარგად არიან? დაეკთხა სერგეევი. იგი ცდილობდა როგორმე ლაპარაკის კილო შეეცვალა.

— მანის ცოტა ყელი სტკივა, უთხრა რუბანოვსკის ცოლმა.

— ეგეც ახალი დარდი! დააკრაქუნა კბილები რუბანოვსკიმ.

ამ დროს ცოლმა გამოიყვანა ფარდულიდან სამი წლის ბავშვი, რომელიც სერგეევის დანახვაზე სწრაფად დედის კლთაში დაბალა თავი. მძლავრად ახველებდა და მკლავებით დედის კლთას ებლაუჭებოდა.

— ამის მომდევნოც ვერ არის კარგად, უთხრა რუბანოვსკის ცოლმა სერგეევს — შევაჩვიე შინაურ რძეს, აქ-კი ვერ ვშოულობთ, სულ წყალ-წყალა მოაქვთ.

— ნეტავი მოკვდეს! მაგისთვისაც მაღლია და ჩვენც შევსუბუქდებით, ყრუდ ჩაილაპარაკა რუბანოვსკიმ.

— არა, არა, ისევ ჩემი სიკვდილი სჯობია, ადევლებით უბასუხა ცოლმა.

რუბანოვსკიმ ვეღარ მოიხმინა, სასოწარკვეთილად ხელები სახეზე მიიფარა:

— ოოხ, ნეტა შეიძლებოდას ოთხივე ხელად გაქვრეთ, ამოიკვნესა მან. — ჩვენ რომ იმდენი ძალი შეგწევდეს, სამუ-

დამოდ მოვსპოთ ჩვენი ტანჯვა! მაგრამ არა, მშიშრები ვართ, შესაბრაღისნი! ათასჯერ ვარჩევთ შიმშილით, ამოიკვნესა; და თავის მოკვლას კი ვერ გაგებდავთ. — მიიმედ დაეჭურნა რუბანოვსკი თავის მკლავს [და არეული თვალებით გადახედა ყველას.

სერგეევი გრძნობდა, რომ თავის იქ ყოფნით უფრო უორკვეცხდა დარდს მასწინძლებს. მართლაც, რაწმასაც მან ქუდს ხელი წამოავლო, რუბანოვსკი ისე წამოხტა, თითქოს სულ ამის ლოდინში იყო. გამომშვიდობების დროს მასწინძელმა და სტუმარმა ისე უტანურად შეხედეს ერთმანეთს, თითქოს რაღაცის ამოკითხვა ურდათ თვალეში.

— ჯერ-ჯერობით ნახვამდის — უთხრა სერგეევი და დიასახლისს და თან გაუწოდა ხელი. ხვალ, იქნება, გამოვიარო.

რუბანოვსკის ცოლმა ჩამოართვა ხელი და თან ისე დაღონებით დააცქერდა, თითქოს კითხვდა: — ან დღეს რამ მოგიყვანაო?

— გმადლობ, გმადლობ! წაიდუღუნა რუბანოვსკიმ და გაუღო სერგეევს კარები. აქ ერთხელ კიდევ ორიენი შეკრათენ.

— წადი სულ მარცხნივ, აუხსნა რუბანოვსკიმ უფრო თავის მღვდვარების დასამალავად, — როცა მიხვიდე პირველ ნომერთან, გაუხვიე და გახვალ.

— კეთილი, ხვალამდის! სერგეევი ერთი კიდევ შეხედა რუბანოვსკის და შეატყო უნდობლობა. „არ მოხვალ!“ ეწერა იმის სახეზე.

გულნაკლული გამოვიდა სერგეევი ნომრებიდან. წვიმა ისევ მოდიოდა. იგი გაეშურა სახლისკენ. ათასი ფიქრი უტრიალებდა თავში. დაფიქრებული და ადევნებული სერგეევი ვერც კი ამჩნევდა წვიმას, რომელიც შეუწყვეტლივ უშხაპუნებდა და ტანისამოსს უსველებდა. დრო გამოშვებით მოყვებოდა ხოლმე სერგეევი ხმამაღლა ლაპარაკს თავისთვის. მას არ აქამყოფილებდა მისი უნაყოფო თანაგრძნობა მეგობრისადმი. იცოდა, რომ სერგეევის სიტყვებით ვერ შეუღუსმბუქებდა დარდს, — პირიქით, უფრო შეაწუხებდა და დაამცირებდა. მას ცხოვლად წარმოუდგა რუბანოვსკის ოჯახი, ცოლის სახე, ჩაცმულობა, მიხვრა-მოხვრა, ოთახის საცოდავი მოწყობილობა. მოიგონა, როგორ ხარბად დეფიწავა რუბანოვსკი მეორე ქიქა არას, როგორ აკანკალდა სიცოცხისაგან, ყველა ეს წარმოიდგინა თვლ წინ და გულმოსულმა შესძახა:

— ოჰ! როგორ გახუნებულა!

ამ უცბად წამოძახილმა სიტყვამ, რომელშიაც იხატებოდა მწარე სიმართლე, ერთბაშად შესწარა სერგეევი. მან მოიგონა ის დრო, როცა რუბანოვსკის ცოლი ჯერ ისევ გასათხოვარი იყო. სერგეევი ხედებოდა მას ერთ კარგ ნაცნობ ოჯახში. როგორი უბრალო, სადა და მასთან რა ნაწი ქალი იყო! როგორ უყვარდა მუსიკა, რა ადფრთოვანებული აყოლებდა კლავოშზე თითებს, შთაბერავდა სიცოცხლესა და გულს შოპენის ნაწარმოებს. ახლა კი აი რა ყოფაშია! ოცდა სამის წლისამ დაჰკარგა სილამაზე, ახალგაზღობა, ენერგია. რა საშინელებაა, აღამიანი გრძნობდეს, როგორ თან და თან ელევა ღონე! მაგას ელოდა, როცა სთხოვდებოდა რუბანოვსკიზე?!

— ადრე, მეტად ადრე მოსტება ცხოვრებამ. ფიქრობდა სერგეევი. ორიენი ისრისებიან ცხოვრების ტვირთისაგან. მთელი დღე ხედან, შესტკერთან ერთმანეთს მაგრამ, ნაღველისა და სასოწარკვეთილების მეტს ვერაფერს ხედავენ... ეეჰ!.. — სერგეევი ვერც კი შენიშნა, როგორ გაჩნდა თავის ოთახში. ანთო სანთელი და დიდ ხანს დადიოდა ერთი კუთხიდან მეორე კუთხემდის. კედლის იქით მოისმა მხარეულის გულ-

მოდგინე ხვრინვა, ფანჯარასთან ღმურა ძალი და შემოდგომის წვა შეუჩერებელი უშხაუნებდა ფანჯრის შუშებს. გაიარა დრო. სანთელი მაღალ დამწვარიყო და ოდნავდა ბუტუვდა შანდანში. სერგეევმა გაიხადა, ჩაქრო სანთელი და ჩაწვა. ის იწვა, თვალები ქვეში მიეჩრებია და ძილი სრულიად არ ეკარებოდა. მასში იხრდებოდა რთი აზრი რომელიც დაეხდა ამას, როცა მასთან რუბანოვსკი მოვიდა! იგივე აზრი უტრიალებდა თავში, როცა რუბანოვსკის ცოლს ელაპარაკებოდა, და ახლაც იგივე აზრი უფრთხობდა ძილს. ბევრნაირად ცდილობდა სერგეევი მოეშორებინა იგი. წარმოუდგა თვალწინ ლანძღვა-გინება, დაცინვა, დამცირება... აგერ მოესმა კიდევ ხარხარი ერთ ქველ-მომქმედისა:

— თქვენ კიდევ თხოვნით?! — ეუბნება დაცინვით ბარონი კნობლი და აწვდის ორ თითს ხელის ჩამორთმევის მაგივრად. მას გვერდში ამოუდგა ბარონესა, მაღალი, გამჭმარი, მედიდურის სახით და ბოროტის ღმილით.

ბარონის გარდა სხვა ბევრიც მოაგონდა სერგეევს. აგერ მდიდარი სერგეევი, რომელიც ორ სამ-საათობით ალო-დინებს ხოლმე და ხელს არც კი ჩამოართმევს

— ღორი! წაილდუნა სერგეევმა და გადაბრუნდა მეორე გვერდზე. მაგრამ აქაც ესტუმრენ „მისი კეთილის მყოფელნი.“ გენერალი გაშმაგებული უქუცის:

— ვერ არ შეიძლება, თქვენ მეტად გათამამდით. სარსარგებლობით ჩვენი გულკეთილობით! თქვენ ყოველად უფარგისი კაცი ხართ. გემით!! ათავებს თავის სიტყვას უფლებით შემოსილი ჩინოსანი ამას მოჰყვა კურდღელივით მაქცერალი ბებერი. თავის ქნევით და ხელების შლით ახლა ამან დაუწყა სერგეევს საყვედური:

— უსათურად ბელი გდევნით! დაცინვით ეუბნება იგი და იმალება სადღაც.

— მაგათი გაწყვეტა! სისინებს გულ-მოსული სერგეევი. — როდის, როდის იქნება, მე მაგათ თავი დავდწიო! მთლად შემქამენ, ტლახში ამომსვრიან. მაგათი მარტო ხარხარი და დამანქული სახე რათა ღირს. ფუ!!...

სერგეევი ადგა, გადაჰკრა ნახევარი ლიტრა წყალი და ისევ ჩაწვა. ის „აზრი“ მიინც არ შორდება... მას კიდევ დაეპატრონა მკაცრი აზრდელი სიღარიბისა და შიშობისა, კიდევ სიცივე, წანწალი, დამცირება... რა საძაგლობაა! ჩურჩულებს მწარედ სერგეევი.

იგი შეეხვია საბანში, გაჩერდა ერთს წერტილზე, მითომ მოიშორა ყველა ფიქრები, მაგრამ ლანდევით იჯდა რუბანოვსკი იქვე და ესმოდა იმისი კვნესა, იმისი ჩივილი: „რა ძნელია ამ ქვეყნად ცხოვრება!“

თორმეტმა საათმა დაჰკრა. „რა გამხდარი ხელები აქვს მანისა“ აგონდებოდა სერგეევს.

გახდა ღამის პირველი, ორი საათი. სერგეევმა ვერ მოისვენა.

— ოჰ, რა სულმდებლები არიან, წყალ-წყალა რძეს როგორ ჰყიდიათ! — ფიქრობდა სერგეევი. იგი ამტერდებოდა ქერს, მაგრამ მიინც თვალ წინ უდგა დაქანცული სახე ახალგაზდა ქალისა.

გათენდა. დადგა ჩვეულებრივი შემოდგომის ღრუბლიანი დილა. რუბანოვსკის ოჯახი ის იყო ფეხზე წამომდარეყო, ცოლი ებღაუტებოდა ჩილ ბავშვს, მაგრამ ვერაფრით ვერ დაეშვიდებინა მისი მშვიერი კუჭი. ქმარიც გულჩათუთქუ-

ლი იდგა ფანჯარასთან და გაჰყურებდა მოქუშულ კაცს ვერხვანულად მოისმა ფეხის ხმა და აჩქარებული შემოედუ ატყვევებულად.

— მე ვიყავი იზიუმოვთან. — საღამის მიუტკებლად დიწყობან, — უარი განვატხადე ალაგზე. შენზე დარჩა ახლა... წადი ჩქარა, დროს ნუ ჰკარავ. რა ცუდი დარია!

სერგეევი დაჯდა და შეიმშრალა წვიმისგან დასველებული სახე. განცვიფრებული იდგა მის წინ რუბანოვსკი. იგი უკანასკნელ წუთამდე დარწუნებული იყო, რომ სერგეევი არ მოვიდლოდა

— დაიცა, — უთხრა რუბანოვსკიმ, — შენც ვაკირვებაში ხარ, თვითონვე ამბობდი. მე ვიცი, როგორ გიმძიმს ცხოვრება... მაქვს კი უფლება მივიღო შენგნით ეგეთი მსხვერპლი?

— არ ვიცი, მიუგო სერგეევმა, მხოლოდ ამას კი ვგრძნობ, იმ ალაგზე რომ დავმდგარიყავი, ფიქრი იმაზე, რაც ამ ოთახში ხდება, არ მომასვენებდა და სულს მომიწამლავდა. მე-კი დიდად ვაფასებ სულიერ სიმშვიდეს... მაშ ბევრს ნულარ ლაპარაკობ და გაეშურე იზიუმოვისაკენ. უყურე ეკატერინე სერგეევნას სახეს, — იმას უკვე ეტყობა ამ საკითხის გადაწყვეტილება.

რუბანოვსკის ცოლი, მართლა ძალზე ფერწასული, მაგრამ თვალზე გაბრწყინვებული შეჰყურებდა ორივეს. მასში ხელად გაიღვიძა სიცოცხლის წყურვილი. იგი უცებ გაყმაწყვილდა, გალამაზდა, გაცოცხლდა. სერგეევი ვეღარ სცნობდა მას. რუბანოვსკის ცოლს არ ეცალა ყოყმანობისთვის, უფლებების გარჩევისათვის. ამ წუთს ის მხოლოდ ბავშვებზე ზრუნავდა. იგი მივიდა სერგეევთან ხმა ამოუღებლივ და, რამდენადაც კი შეეძლო მის სუსტ მკლავებს, მაგრამ ჩამოართვა ხელი მაღლობის ნიშნად.

რამდენიმე დღის შემდეგ სერგეევი აცილებდა რუბანოვსკის ოჯახს, რომელიც ახალ ადგილზე მიემგზავრებოდა. სერგეევს ერთი ხელით მიჰყავდა თავით ფეხმალის შეხვეული მანია, მეორე ხელში რუბანოვსკის ჩამადანი ეჭირა. თვითონ ცოლ-ქმარიც დატვირთულიყვენ ათას წვრილმან ბარგით. გაისმა მეორე ხარი. სერგეევი ავიდა მატარებელში, დალაგა ბარგი, უშოვა მათ ალაგვი. როცა მესამე ხარიც დაჰკრეს, სერგეევი გულმზურვალედ მოეხვია მეგობარს, თანაგრძნობით ჩამოართვა ხელი მის ცოლს. გადაჰკოცნა ბავშვები და თვალცრემლიანი გამოემშვიდობა დაიძრა მატარებელი. დიდხანს კიდევ გაიოყურებოდა ფანჯრიდან რუბანოვსკის ცოლი და პატარა მანია; რუბანოვსკიც, ვიდრე მატარებელი არ მიიშალა თვალიდან, განუწყვეტლივ უჩვენებდა თავის ცხვირსახოცს.

დარჩა სერგეევი მარტოდ. დიდ ხანს იდგა იგი შეუნძრევლად ერთ ალაგს, ბოლოს გამოერკვა და წავიდა.

სერგეევი ნაღვლით სავსე იყო, მაგრამ ეხლა გულის სიღრმეში უტყებდა მაგრად ერთი ძარღვი, რომელიც მატებდა მას ძალას და ღონეს ცხოვრებასთან საბრძოლველად.

S. S.

რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი
გამომცემელი თ. დი პავლე ი. თუმანიშვილი.

ფოთის სავაჭო ბიზნაზი

აცხადებს, რომ მისდები გამოცდა მოწაფეებისა მოხდება აკვისტოში შემდგვის რიგით: 21-სა და 22-ს — მოსანზადებელ კლასში, 24-ს — მეორე კლასში და 26-ს — მეს. მე კლასში. გამოცდა დაიწყება ხოლმე დილის რვა საათზე, ხოლო სწავლა დაიწყება 1-ლ სექტემბერს.

დირექტორის თანამდებობის აღმასრუ ებელი
ა. იავულოვი.